

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"

2023 წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა, სართული 5

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი , N4, (ნაკვ.66/4)

თბილისი, საქართველო 0105

ს/კ 404437695

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგის“ მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგის" (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნათია თევზაძე

შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

12 სექტემბერი 2024 წელი

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნათია თევზაძე

ნათია

შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

12 სექტემბერი 2024 წელი



შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	723,164	719,884
საინვესტიციო ქონება	10	274,587	270,626
არამატერიალური აქტივები	11	185,872	198,067
აქტივები გამოყენების უფლებით	12	22,422	27,375
სასესხო მოთხოვნები	13	23,339	230,662
IRU ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გადახდილი ავანსები		8,013	8,702
სხვა გრძელვადიანი აქტივები	9	62,255	32,212
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		642	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,300,294	1,487,528
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		19,714	16,783
სასესხო მოთხოვნები	13	5,184	990
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	43,984	40,750
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	216,255	139,793
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		16,222	13,516
სულ მოკლევადიანი აქტივები		301,359	211,832
სულ აქტივები		1,601,653	1,699,360
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	16		
კაპიტალი		960,559	1,167,407
დაგროვილი ზარალები		(507,666)	(630,349)
კომპანიის მესაკუთრეზე მიკუთვნებადი კაპიტალი		452,893	537,058
არამაკონტროლებელი წილები	17	48,830	43,858
სულ კაპიტალი		501,723	580,916
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	18	793,949	782,512
საიჯარო ვალდებულება	12	14,950	21,332
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	19	11,946	12,465
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	39,601	27,041
ფუტ-ოფციონთან დაკავშირებული ვალდებულებები	20	50,635	85,741
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		911,081	929,091
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები	18	40,261	54,120
საიჯარო ვალდებულება	12	13,445	12,193
IRU ხელშეკრულებებიდან და აბონენტებისგან მიღებული ავანსები	19	26,399	26,245
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	108,744	96,795
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		188,849	189,353
სულ ვალდებულებები		1,099,930	1,118,444
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,601,653	1,699,360

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10- 76 გვერდებზე.

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	5	786,963	722,857
საოპერაციო ხარჯები	6	(232,273)	(211,327)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(190,152)	(158,294)
ცვეთა და ამორტიზაცია		(146,828)	(146,989)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სასესხო მოთხოვნების გაუფასურების შემოსულობა/(ზარალი)	21(b)(ii)	699	(637)
მოდIFIცირებით განპირობებული ზარალი			
ფინანსურ ვალდებულებებზე		(2,503)	-
სხვა შემოსავალი		18,044	17,255
სხვა ხარჯები		(5,309)	(3,543)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		228,641	219,322
ფინანსური შემოსავალი		21,910	24,357
ფინანსური ხარჯები		(83,864)	(148,046)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება		-	(3,862)
საკუთრობის სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(8,302)	90,393
წმინდა ფინანსური ხარჯები		(70,256)	(37,158)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		158,385	182,164
მოგების გადასახადი	7	(1,173)	(340)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		157,212	181,824
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
კომპანიის მესაკუთრე		140,405	164,754
არამაკონტროლებელი წილი	17	16,807	17,070

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 12 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

მამუკა შურდია
დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-76 გვერდებზე.

შპს "სილქ როუდ გრუპ კოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	5	786,963	722,857
საოპერაციო ხარჯები	6	(232,273)	(211,327)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(190,152)	(158,294)
ცვეთა და ამორტიზაცია		(146,828)	(146,989)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სასესხო მოთხოვნების გაუფასურების შემოსულობა/(ზარალი) 21(b)(ii)		699	(637)
მოდულირებით განპირობებული ზარალი			
ფინანსურ ვალდებულებებზე		(2,503)	-
სხვა შემოსავალი		18,044	17,255
სხვა ხარჯები		(5,309)	(3,543)
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		228,641	219,322
ფინანსური შემოსავალი		21,910	24,357
ფინანსური ხარჯები		(83,864)	(148,046)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება			(3,862)
საკუთრო სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)/შემოსულობა		(8,302)	90,393
წმინდა ფინანსური ხარჯები		(70,256)	(37,158)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		158,385	182,164
მოგების გადასახადი	7	(1,173)	(340)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		157,212	181,824
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			
კომპანიის მესაკუთრე		140,405	164,754
არამაკონტროლებელი წილი	17	16,807	17,070

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 12 სექტემბერს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერს:

მამუკა შურღაია
დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-76 გვერდებზე.

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	კომპანიის მესაკუთრეებზე მიკუთვნებადი				
	კაპიტალი	დაგროვილი ზარალები	სულ	არამაკონტროლებელი წილები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	1,167,407	(758,162)	409,245	31,622	440,867
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში					
წლის ზარალი	-	164,754	164,754	17,070	181,824
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
ფუტ-ოფციონის ვალდებულების საბალანსო ღირებულების ცვლილება (შენიშვნა 20)	-	(14,939)	(14,939)	(786)	(15,725)
სამართლიანი ღირებულების კორექტირება დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებზე (შენიშვნა 18)	-	9,405	9,405	495	9,900
გაცემული დაკავშირებული მხარის სესხების ჩამოწერა (შენიშვნა 13)	-	(30,813)	(30,813)	(840)	(31,653)
ჯგუფის საწარმოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 16(b))	-	(594)	(594)	(3,703)	(4,297)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,167,407	(630,349)	537,058	43,858	580,916
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	1,167,407	(630,349)	537,058	43,858	580,916
მთლიანი სრული ზარალი წლის განმავლობაში					
წლის მოგება	-	140,405	140,405	16,807	157,212
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან					
ფუტ-ოფციონის ვალდებულების საბალანსო ღირებულების ცვლილება (შენიშვნა 20)	-	(6,912)	(6,912)	(364)	(7,276)
შვილობილი კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების შეძენა	-	(7,315)	(7,315)	(385)	(7,700)
მოდიფიცირების გავლენა გაცემულ დაკავშირებული მხარის სესხებზე	-	2,047	2,047	108	2,155
ცვლილებები ჯგუფის საწარმოს კაპიტალში	-	500	500	4,463	4,963
სამართლიანი ღირებულების კორექტირება დაკავშირებული მხარისგან მიღებულ სესხებზე (შენიშვნა 18)	-	(8,119)	(8,119)	(362)	(8,481)
არამაკონტროლებელი წილების შეძენა კონტროლის ცვლილების გარეშე (შენიშვნა 24)	-	(1,070)	(1,070)	(787)	(1,857)
ჯგუფის საწარმოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 16(b))	-	3,147	3,147	(14,508)	(11,361)
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 13)	(206,848)	-	(206,848)	-	(206,848)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	960,559	(507,666)	452,893	48,830	501,723

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 76 გვერდებზე.

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		158,385	182,164
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია		146,828	146,989
წმინდა ფინანსური ხარჯები		70,256	37,158
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სასესხო მოთხოვნების გაუფასურების (შემოსულობა)/ზარალი		(699)	637
მოდულიზირებით განპირობებული ზარალი ფინანსურ ვალდებულებებზე		2,503	-
ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების გასვლასთან/ჩამოწერასთან დაკავშირებული ზარალი		1,554	918
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგებში		(3,482)	(1,851)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(27,826)	(25,276)
გადახდილ ავანსებსა და სხვა აქტივებში		(2,437)	(1,315)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		62,372	27,068
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		407,454	366,492
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,173)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		406,281	366,492
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების და საინვესტიციო ქონების შეძენა		(170,095)	(122,874)
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		503	1,500
სესხების გაცემა		(10,409)	(7,141)
არამაკონტროლებელი წილების შეძენა		(44,882)	-
შვილობილი კომპანიის შეძენის გზით აქტივების შეძენა		(1,021)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(32,052)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		33,518	-
მიღებული პროცენტი		12,711	3,109
გაცემული სესხების დაფარვა		4,511	278
ბიზნესის შეძენისთვის გადახდილი ანაზღაურება		-	(2,137)
შვილობილი კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების შეძენა		(7,700)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(214,916)	(127,265)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
გადახდილი პროცენტი		(84,369)	(67,553)
სესხების დაფარვა		(184,626)	(571,827)
სესხებიდან მიღებული შემოსულობები		176,131	469,488
საიჯარო გადახდები		(10,312)	(9,804)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა გადახდები		-	2,721
ახალი ევროზონიზაციების გამოშვებასთან დაკავშირებული საოპერაციო საფასური		-	(6,035)
პრემია და საკომისიო გამოშვებული ობლიგაციების ნაადრევ გამოსყიდვაზე		-	(7,403)
ობლიგაციებთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯები		(1,417)	-
ჯგუფის საწარმოების მიერ გადახდილი დივიდენდები		(4,865)	(208)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(109,458)	(190,621)
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(5,445)	(17,146)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		76,462	31,460
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		139,793	108,333
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	216,255	139,793

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 10 - 76 გვერდებზე.

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, ჯგუფზე ძირითადად ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

საქართველოს ეკონომიკაც დაზარალდა აღნიშნული მოვლენების გამო და ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს ეკონომიკაში, ზემოთ აღწერილის შესაბამისად; მეორე მხრივ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკის 7%-მდე ზრდა დაფიქსირდა, რაც გამოწვეულია ექსპორტისა და ტურიზმიდან მიღებული უფრო მაღალი შემოსავლებით და ძლიერი კერძო მოხმარებით. ასევე, ერთნიშნა ეკონომიკური ზრდა არის მოსალოდნელი 2024 წელს.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“ და ცალ-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“) ფინანსურ ანგარიშგებებს (შენიშვნა 24).

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404579354. კომპანია დაარსდა 2019 წლის 4 ივნისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოებებს "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რესპუბლიკის მოედანი.

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგის" ძირითადი საქმიანობაა ჯგუფის საწარმოებისთვის ჰოლდინგურ საწარმოდ მოქმედება. ჯგუფის საწარმოების ძირითადი საქმიანობაა:

- საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებებს, მობილურ ინტერნეტს, ფიქსირებულ ინტერნეტს, pay TV მომსახურებას, ესემეს მომსახურებას (მოკლე ტექსტური შეტყობინება) და სხვა საბითუმო მომსახურებას.

- თბილისსა და ბათუმში (საქართველო) მდებარე, რედისონ ზღუ ბრენდის სასტუმროების და წინანდალში (საქართველო) მდებარე, რედისონ ქოლექშენ და პარკ ჰოტელ სასტუმროების ფლობა და მართვა;
- თბილისსა და ბათუმში კაზინოების მართვა (ერთად წოდებული "კაზინოები"). კაზინოები თბილისსა და ბათუმში რედისონ ზღუ ბრენდის სასტუმროებში მდებარეობს.
- კომპლექს „რესპუბლიკის“ ფლობა და მართვა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მდებარე უძრავი ქონების განვითარება და მართვა (იხილეთ შენიშვნა 10).
- საქართველოში, ოზურგეთის რაიონში, მდინარე ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის მართვა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ ფლობილი „ტელეგრაფის შენობის“ მშენებლობა მიმდინარეობს, მისი გადაკეთებისა და სასტუმროდ ჩამოყალიბების მიზნით. 5-ვარსკვლავიანი 239-ნომრიანი სასტუმროს ფუნქციონირების დაწყება 2025 წელს იგეგმება, „რედისონ ქოლექშენის“ ბრენდის სახელით.

კომპანიას სრულად ფლობს „Comodon Holding (Malta) Limited“. 2020 წელს, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანიის რეორგანიზაცია მოხდა, რის შედეგადაც კომპანიას ახალი ბენეფიციარი აქციონერი ჰყავს, იერკინ ტატიშევი, არაპირდაპირი უმცირესობის წილით (38.2%) კომპანიაში. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია რჩება „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი“ - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 25-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

კომპანია ახლად დაარსებულ კომპანიას წარმოადგენს (ე.წ. "Newco"), რომელიც დაარსდა პირდაპირი მშობელი კომპანიის მიერ 2019 წლის ივნისში ჯგუფის რესტრუქტურის მიზნით, რის შედეგადაც 2020 და 2019 წლებში ჯგუფის რამდენიმე საწარმო იქნა შეტანილი Newco-ს კაპიტალში საერთო კონტროლის გარიგებების საშუალებით.

აღნიშნული საერთო კონტროლის გარიგებები აღრიცხულ იქნა საბალანსო ღირებულებით, როგორც წარმოდგენილია ჯგუფის საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში, რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. შედეგად, ჯგუფმა აირჩია ხელახლა წარმოადგინოს მისი შესადარისი მონაცემები და დააკორექტიროს მისი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი ზემოაღნიშნული გარიგებების თარიღებამდე, იმგვარად თითქმის კომპანია აკონტროლებდა ჯგუფის საწარმოებს ყველაზე ადრეულ წარმოდგენილ პერიოდამდე. ვინაიდან, Newco-ს არც რეგისტრაციის თარიღისთვის და არც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნდა არსებითი აქტივები ან ვალდებულებები, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის საწარმოების ბიზნეს უწყვეტობას და კონსოლიდირებული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე შესადარისი მონაცემები, შესაბამისად არის აღიარებული და წარმოდგენილია ჯგუფის საწარმოების პირველად გამოყენების თარიღის შესაბამისად, იგივე სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებით, გარდა საინვესტიციო ქონების შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკისა, როგორც ჯგუფის საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯგუფი მის საინვესტიციო ქონების აფასებს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალების გამოკლებით (იხ. შენიშვნა 27(i)(i)).

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის და ჯგუფის საწარმოების სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 9 (b) - ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნების შეფასება;
- შენიშვნა 12 - საიჯარო ვადის განსაზღვრა;
- შენიშვნა 20 - ფუთ-ოფციონის ვალდებულების აღიარება და შეფასება;
- შენიშვნები 13 და 18 - საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე დაკავშირებული მხარის სესხების აღიარება და დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების კაპიტალის საშუალებით ჩამოწერა;
- შენიშვნა 25 (b) - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურების გამოთვლა;
- შენიშვნა 27 (g) და (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები;
- შენიშვნა 27(g) და (h) - ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღიარება და შეფასება;

არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სხვა მნიშვნელოვანი შეფასებები შეტანილია შენიშვნაში 10 - საინვესტიციო ქონების შეფასება.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).

- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 10 (b) - საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება;
- შენიშვნა 21 (a) - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

'000 ლარი	2023	2022
სატელეკომუნიკაციო შემოსავალი (a)	536,433	472,965
შემოსავალი უძრავი ქონებიდან (b)	243,154	242,496
სხვა შემოსავალი	7,376	7,396
	786,963	722,857

(a) სატელეკომუნიკაციო შემოსავალი

'000 ლარი	2023	2022
კომერციული შემოსავალი	487,851	428,088
შემოსავალი მობილური კავშირიდან	283,408	245,654
მობილური გამავალი ზარი	113,441	109,621
მობილური ინტერნეტი	149,265	120,387
შემოსავალი SMS-დან	10,622	9,070
ტელეფონების და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1,790	865
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	8,290	5,711
ფიქსირებული შემოსავალი	204,443	182,434
ფიქსირებული ინტერნეტი	132,624	114,389
Pay TV	55,855	50,649
ფიქსირებული ტელეფონი	11,412	12,685
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება	2,944	2,891
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	1,608	1,820
ოპერატორებისგან და სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	48,582	44,877
ურთიერთობების მომსახურება*	25,276	25,884
ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურება**	11,614	9,714
შემოსავალი როუმინგიდან	9,033	6,465
საბითუმო ინტერნეტი	2,659	2,814
სულ შემოსავალი	536,433	472,965

* ურთიერთობების მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი გამომუშავებულია ორივე სეგმენტის მიერ შემდეგნაირად: 23,364 ათასი ლარი მობილური მომსახურების სეგმენტიდან და 1,912 ათასი ლარი ფიქსირებული მომსახურების სეგმენტიდან 2023 წელს (2022: 23,577 ათასი ლარი მობილური მომსახურების სეგმენტიდან და 2,307 ათასი ლარი ფიქსირებული მომსახურების სეგმენტიდან). შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში გენერირდება.

** ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს IRU ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალს. დაკავშირებული ავანსები შეტანილია მე-19 შენიშვნაში. ფასს 15-ის ფარგლებში, აღნიშნული IRU ხელშეკრულებებისთვის, ჯგუფი კონტრაჰენტებისგან მიღებულ ნებისმიერ წინასწარ გადახდებს მნიშვნელოვან საფინანსო კომპონენტზე აკორექტირებს. ფასს 15-ის ფარგლებში, მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის მქონე ხელშეკრულებებისთვის, ანაზღაურების დაპირებული ოდენობა ფულის დროითი ღირებულების ასახვის მიზნით კორექტირდება. მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გავლენა ფასდება 12%-დან 14%-მდე საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, IRU ხელშეკრულების და ავანსების მიღების დაწყების თარიღის მიხედვით. ინფრასტრუქტურის სიმძლავრის იჯარის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად მიეკუთვნება ფიქსირებული მომსახურების სეგმენტიდან მიღებულ შემოსავალს.

1,815 ათასი ლარის ოდენობით თანხა (2022: 1,815 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა როგორც შემოსავალი 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, მიღებულ ავანსებში აღიარებული IRU ხელშეკრულებებისთვის (შენიშვნა 21). 9,077 ათასი ლარის ოდენობით შემოსავალი (2022: 9,077 ათასი ლარი) იქნება აღიარებული 5 წლის განმავლობაში საანგარიშგებო თარიღის შემდეგ და 13,599 ათასი ლარი (2022: 15,414 ათასი ლარი) ხუთი წლის შემდეგ, IRU ხელშეკრულებების დაფარვის ვადამდე.

(ბ) შემოსავალი უძრავი ქონებიდან

'000 ლარი	2023	2022
შემოსავალი კაზინოს საქმიანობიდან	146,971	155,096
შემოსავალი კაზინოს „ლაივ“ თამაშებიდან	83,436	100,702
შემოსავალი „სლოტ“ აპარატებიდან	63,535	54,394
შემოსავალი სასტუმროს და კომპლექსი "რესპუბლიკას" საქმიანობიდან	89,980	82,665
საკვების და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	47,285	41,491
ოთახების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	35,193	34,594
სასტუმროს სხვა შემოსავალი	7,502	6,580
სხვა შემოსავალი	6,203	4,735
	243,154	242,496

ჯგუფის უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად სასტუმროს და კაზინოს საქმიანობებს უკავშირდება. სასტუმროებიდან მიღებული შემოსავალი ძირითადად სასტუმროების ოთახების გაყიდვას და სასტუმროს რესტორანში საკვებისა და სასმელის გაყიდვებს უკავშირდება. კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია კლიენტთა წახალისებების და ბონუსების გამოკლებით.

სასტუმროს და კაზინოს ბიზნეს საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც ძირითადად საკასო პრინციპზე არის დაფუძნებული, ჯგუფს არ აქვს არანაირი არსებითი სახელშეკრულებო აქტივები და/ან სახელშეკრულებო ვალდებულებები. 2023 წელს, უძრავი ქონებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 40% (2022: 44%) კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება. კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის წყარო ძირითადად უკავშირდება კაზინოს თამაშებს, როგორცაა პოკერი, ბაკარა, ბლეი ჯეკი, ამერიკული რულეტი, სლოტ აპარატები. ამ სათამაშო საქმიანობებზე დადებული ფსონებიდან მიღებული ამონაგები, როგორც წესი, ცნობილია ფსონის დადების დროს. აღნიშნულ ფსონს ეწოდება „ფსონი ფიქსირებული კოეფიციენტი“. მსგავსი ხელშეკრულებები აკმაყოფილებენ ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები -ს ფინანსური ინსტრუმენტის განმარტებას და შესაბამისად გათავისუფლებულნი არიან ფასს 15-ისგან.

6. საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2023	2022
ტელეკომუნიკაციებზე გაწეული საოპერაციო ხარჯები (a)	132,886	121,572
უძრავ ქონებაზე გაწეული საოპერაციო ხარჯები (b)	97,940	88,328
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,447	1,427
	232,273	211,327

(a) ტელეკომუნიკაციებზე გაწეული საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2023	2022
ქსელის მართვისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	18,480	18,142
ურთიერთჩართვის საფასური და როუმინგის ხარჯი	16,978	17,136
კომუნალური ხარჯები	16,217	16,122
პროფესიული მომსახურების საფასური	15,341	5,694
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	11,862	12,282
Pay TV კონტენტის თვითღირებულება	8,815	9,324
ბანკის საკომისიო	924	1,533
რეკლამა და მარკეტინგი	6,924	5,354
ინფრასტრუქტურული სიმძლავრის იჯარა, IRU და საიჯარო ხარჯები	6,561	6,507
ინტერნეტ არხის ხარჯები	4,670	4,576
საკომუნიკაციო რეგულაციის საფასური	4,297	3,842
ქონების და სხვა გადასახადები	3,669	4,138
ინტერნეტ პროტოკოლის (IP) ხარჯი	3,183	3,537
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები	2,971	3,296
ტრანსპორტირების მომსახურება	2,575	1,956
უსაფრთხოების ხარჯები	2,518	2,427
საოფისე საკანცელარიო ნივთები და სხვა მარაგები	1,704	1,270
საქველმოქმედო ხარჯები	1,400	1,350
უმოდრაო მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა	592	706
სხვა	3,205	2,380
	132,886	121,572

(b) უძრავ ქონებაზე გაწეული საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2023	2022
მომხმარებელთან დაკავშირებული ხარჯები*	16,699	16,914
კვარტალური სანებართვო მოსაკრებლის ხარჯები**	11,824	9,433
მარაგების მოხმარება	11,293	11,597
კომუნალური ხარჯები	7,382	7,221
სასტუმროს მარაგები	6,551	5,839
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების საფასური	5,443	4,050
მარკეტინგის ხარჯები	4,523	5,075
საიჯარო ხარჯები	4,432	3,041
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	4,179	3,594
ბანკის და სხვა საკომისიოები	4,151	3,651
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	2,951	2,516
კონტრაქტორების მომსახურების საფასური	2,342	2,186
როიალტის საფასური***	2,286	2,149
უსაფრთხოების ხარჯები	1,720	1,550
სხვა საოპერაციო ხარჯები	12,164	9,512
	97,940	88,328

*მომხმარებელთან დაკავშირებული ხარჯი წარმოადგენს კაზინოს მომხმარებლებზე მიწოდებულ უფასო მომსახურებას და საქონელს, მაგალითად: წასახემსებელი, სასმელი, სიგარეტი, საჭმელი, თვითმფრინავის ბილეთები და ა.შ.

**კვარტალური სანებართვო მოსაკრებლის ხარჯები წარმოადგენს კონკრეტულ ფიქსირებულ კვარტალურ საგადასახადო დარიცხვას აზარტული თამაშების ბიზნესის ადგილობრივ უფლებამოსილ ორგანოებზე და კერძოდ, სლოტ აპარატების ოპერირებისთვის საქართველოში.

*** როიალტის საფასური Radisson Hotel Aps Denmark-თან გაფორმებული "საერთაშორისო სალიცენზიო ხელშეკრულებების" (ILA) ფარგლებში, სასტუმროების „რედისონის“ ბრენდის სახელით ოპერირებისთვის მიღებული ლიცენზიისთვის გადახდილ საკომისიოებს წარმოადგენს.

7. დაბეგვრა

მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2023	2022
მიმდინარე წელი	(1,173)	(340)
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი	(1,173)	(340)

8. საქმიანობის შედეგების ალტერნატიული შეფასებები

(a) კორექტირებული EBITDA

ჯგუფს სჯერა, რომ კორექტირებული EBITDA-ს და კორექტირებული EBITDA-ს მარჯის წარდგენა ეხმარება მკითხველს უკეთ გაიგოს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის შედეგები. ხელმძღვანელობა, ჯგუფის და მისი ორი ძირითადი სეგმენტის (ტელეკომუნიკაციები და უძრავი ქონება) საოპერაციო საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის კორექტირებულ EBITDA-ს და კორექტირებულ EBITDA-ს მარჯას იყენებს. ამასთანავე, კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჯა ხშირად გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსების, ინვესტორების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, სატელეკომუნიკაციო სექტორში მოღვაწე კომპანიების შესაფასებლად. კორექტირებული EBITDA და კორექტირებული EBITDA-ს მარჯა არ წარმოადგენს ფასს-ების მიხედვით მომზადებულ წარდგენებს და ჯგუფის მიერ „კორექტირებული EBITDA“ და „კორექტირებული EBITDA-ს მარჯა“ ტერმინების გამოყენება, შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა გამოყენებებისგან (სხვა საწარმოების მიერ), სააღრიცხვო პოლიტიკებს ან გამოთვლის მეთოდოლოგიებს შორის სხვაობების გამო.

ჯგუფი ითვლის კორექტირებულ EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებული მოგების კორექტირების გზით, შემდეგი ერთეულების გამორიცხვით:

- ფინანსური ხარჯები და ფინანსური შემოსავალი
- მოგების გადასახადი და ნებისმიერი სხვა გადასახადები, რომლებიც დივიდენდების განაწილებას უკავშირდება
- გრძელვადიანი აქტივების ცვეთა, ამორტიზაცია, გადაფასება, გაუფასურება (ზარალები/აღდგენები)
- საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი), მათ შორის შემოსულობა/(ზარალი) ჰეჯირების ინსტრუმენტებზე, სავალუტო ფორვარდულ ხელშეკრულებებზე და ნებისმიერი სხვა შემოსულობა/(ზარალი), რომელიც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით არის გამოწვეული.
- კონკრეტული ერთეულები, ქვემოთ განმარტებულის შესაბამისად:

კონკრეტული ერთეულების იდენტიფიცირება ხდება მათი ზომის, ხასიათის ან სიხშირის შესაბამისად. კონკრეტული ერთეულები წარმოადგენს:

- ა) შემოსავალს ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივებისა და ნებისმიერი სხვა არაფულადი ერთეულების რეალიზაციასთან ან ჩამოწერასთან;

- ბ) ერთჯერად, არა-ძირითად ან არა-საოპერაციო შემოსავალს ან ხარჯებს, რომლებიც არსებითია მათი ხასიათის ან ზომის მიხედვით (როგორიცაა ბიზნესის შეძენის შედეგად მიღებული ამონაგები ვაჭრობიდან, ბიზნესის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, ფულადი სახსრების შეგროვებასთან დაკავშირებული ხარჯები და ჯგუფის ფასიანი ქაღალდების ლისტინგი, გაცემული სესხის ჩამოწერა, ერთჯერადი პროფესიული საფასური და ა.შ.).

კორექტირებული EBITDA-ს უწყვეტი ოპერაციებიდან მიღებულ მოგებასთან შეჯერება

	ტელეკომუნიკაციები*		უძრავი ქონება *		სხვა		შემაჯერებელი ერთეულები*		სულ	
	2023	2022	2023	2022	2023	2022	2023	2022	2023	2022
'000 ლარი										
წლის მოგება/(ზარალი)	154,097	134,516	12,647	45,134	(3,107)	4,049	(6,425)	(1,875)	157,212	181,824
ცვეთა და ამორტიზაცია	118,737	119,505	27,566	26,977	525	507	-	-	146,828	146,989
კაზინოს ნებართვის ამორტიზაცია	-	-	(5,711)	(4,237)	-	-	-	-	(5,711)	(4,237)
საკუთრო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა /ზარალი	(357)	(82,461)	9,009	5,220	(51)	(5,213)	(299)	(7,939)	8,302	(90,393)
ფინანსური ხარჯები	54,072	115,963	27,176	26,284	2,616	5,799	-	-	83,864	148,046
ფინანსური შემოსავალი	(12,144)	(4,798)	(9,103)	(18,639)	(663)	(920)	-	-	(21,910)	(24,357)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში										
ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის										
სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება	-	3,862	-	-	-	-	-	-	-	3,862
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების										
ცვლილება	(6,724)	(9,814)	-	-	-	-	6,724	9,814	-	-
მოგების გადასახადი	258	340	-	-	915	-	-	-	1,173	340
კონკრეტული ერთეულები (იხილეთ ქვემოთ)	29,954	7,011	(2,218)	(650)	4,078	-	-	-	31,814	6,361
კორექტირებული EBITDA	337,893	284,124	59,366	80,089	4,313	4,222	-	-	401,572	368,435

* შემაჯერებელი ერთეულები მოიცავს მაკორექტირებელ ერთეულებს და არარეალიზებულ ამონაგებს/ზარალებს, რომლებიც ელიმინირებულია ტელეკომსა და უძრავ ქონებას შორის. ტელეკომის და უძრავი ქონების ოდენობები, სს "სილქნეტის" და შპს "სილქ რიალ ისთეითის" ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ერთეულებს წარმოადგენს.

კონკრეტული ერთეულები:

'000 ლარი	ტელეკომუნიკაციები		უძრავი ქონება		სხვა		შემაჯერებელი ერთეულები		სულ	
	2023	2022	2023	2022	2023	2022	2023	2022	2023	2022
ა) ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ზარალი (შეტანილია სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში)	1,410	815	-	-	-	-	-	-	1,410	815
ბ) გადახდილი ავანსების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	-	(2,218)	(650)	-	-	-	-	(2,218)	(650)
გ) უმოძრაო მარაგების, ძირითადი საშუალებების და სხვა გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა (შენიშვნა 6)	592	706	-	-	-	-	-	-	592	706
დ) ბანკის საკომისიო	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ე) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ერთჯერადი სარგებელი (შენიშვნა 25 (b))	17,318	-	-	-	-	-	-	-	17,318	-
ვ) პროფესიული საფასური, ერთჯერადი საკონსულტაციო ხარჯები (შეტანილია შენიშვნაში 6)*	13,257	3,821	-	-	-	-	-	-	13,257	3,821
ზ) ქველმოქმედება (შენიშვნა 6)	1,400	1,350	-	-	-	-	-	-	1,400	1,350
თ) სხვა შემოსავალი/ხარჯები	(4,023)	(1,170)	-	-	4,078	-	-	-	55	(1,170)
ი) ბონუსები***	-	1,489	-	-	-	-	-	-	-	1,489
სულ კონკრეტული ერთეულები	29,954	7,011	(2,218)	(650)	4,078	-	-	-	31,814	6,361

* მუხლი ვ) ძირითადად შედგება ერთჯერადი საკონსულტაციო მომსახურებისგან, რომელიც კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას უკავშირდება.

** ბონუსები მოიცავს ჯგუფის დასაქმებულებზე გადასახდელ ოდენობებს ახალი ევროობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით.

(ბ) კორექტირებული EBITDA-ს მარჟა

კორექტირებული EBITDA-ს მარჟა, კორექტირებული EBITDA-ს მთლიან შემოსავალზე გაყოფით გამოიანგარიშება.

კონსოლიდირებული კორექტირებული EBITDA:

'000 ლარი	2023	2022
კონსოლიდირებული კორექტირებული EBITDA	401,572	368,435
კონსოლიდირებული შემოსავალი	786,963	722,857
კონსოლიდირებული კორექტირებული EBITDA-ს მარჟა %	50%	51%

ტელეკომუნიკაციების კორექტირებული EBITDA:

'000 ლარი	2023	2022
ტელეკომუნიკაციების კორექტირებული EBITDA	337,893	284,124
სატელეკომუნიკაციო შემოსავალი	536,433	472,965
ტელეკომუნიკაციების კორექტირებული EBITDA-ს მარჟა %	63%	60%

უძრავი ქონების კორექტირებული EBITDA:

'000 ლარი	2023	2022
უძრავი ქონების კორექტირებული EBITDA	59,366	80,089
შემოსავალი უძრავი ქონებიდან*	246,995	246,002
უძრავი ქონების კორექტირებული EBITDA-ს მარჟა %*	24%	33%

*უძრავი ქონების შემოსავალი, შპს "სილქ რიალ ისთეიტის" ფასს აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალს წარმოადგენს (შიდა-ჯგუფურ გამოქვეყნებამდე).

9. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა	შენობები და ინფრასტრუქტურები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა**	სხვა	სულ
თვითღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	33,851	455,186	530,453	11,135	74,364	4,572	21,444	1,131,005
დაგროვილი ცვეთა	-	(127,472)	(271,143)	(7,042)	(47,010)	-	(14,107)	(466,774)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	33,851	327,714	259,310	4,093	27,354	4,572	7,337	664,231
შესყიდვები	575	56	28,067	520	3,756	28,060	3,024	64,058
გასვლები	(304)	(1,168)	(3,446)	(454)	(378)	(21)	(242)	(6,013)
გადაცემები, ბრუტო	-	1,258	20,380	3	199	(27,627)	-	(5,787)
გადაცემა საინვესტიციო ქონებიდან	-	-	-	-	-	77,703	-	77,703
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	5,787	-	-	-	-	5,787
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	819	2,164	350	285	-	30	3,648
ცვეთის დარიცხვა	-	(16,631)	(56,707)	(862)	(9,154)	-	(389)	(83,743)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	34,122	312,048	255,555	3,650	22,062	82,687	9,760	719,884
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	34,122	455,332	575,454	11,204	77,941	82,687	24,226	1,260,966
დაგროვილი ცვეთა	-	(143,284)	(319,899)	(7,554)	(55,879)	-	(14,466)	(541,082)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	34,122	312,048	255,555	3,650	22,062	82,687	9,760	719,884
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	34,122	455,332	575,454	11,204	77,941	82,687	24,226	1,260,966
დაგროვილი ცვეთა	-	(143,284)	(319,899)	(7,554)	(55,879)	-	(14,466)	(541,082)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	34,122	312,048	255,555	3,650	22,062	82,687	9,760	719,884
შესყიდვები	808	248	25,173	1,060	6,148	50,831	5,511	89,779
გასვლები	(194)	(4,518)	(6,083)	(553)	(1,329)	-	(268)	(12,945)
გადაცემები, ბრუტო	376	1,080	14,145	10	(1,117)	(23,624)*	1,432	(7,698)
გადაცემები, დაგროვილი ცვეთა	-	-	7,698	-	-	-	-	7,698
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	2,475	5,053	123	922	-	269	8,842
ცვეთის დარიცხვა	-	(15,727)	(56,863)	(895)	(8,144)	-	(767)	(82,396)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	35,112	295,606	244,678	3,395	18,542	109,894	15,937	723,164
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	35,112	452,142	608,689	11,721	81,643	109,894	30,901	1,330,102
დაგროვილი ცვეთა	-	(156,536)	(364,011)	(8,326)	(63,101)	-	(14,964)	(606,938)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	35,112	295,606	244,678	3,395	18,542	109,894	15,937	723,164

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, შენობებსა და ინფრასტრუქტურებში შედის დაახლოებით 204 მილიონი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე ქონება, რომელიც გამოიყენება სასტუმროების, კაზინოების და კომპლექს რესპუბლიკის მართვაში (იხილეთ შენიშვნა 1 (b)). პირვანდელი ღირებულება განისაზღვრა ძირითადი საშუალების შექმნისა და შეძენის ღირებულებით და ყველა დაკავშირებული ხარჯით, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად დასახული მიზნებისათვის. შენობებისა და ინფრასტრუქტურების საბალანსო ღირებულების დარჩენილი ნაწილი სატელეკომუნიკაციო სექტორის საქმიანობას უკავშირდება.

* აღნიშნული ოდენობები შეიცავს ფიქსირებული ქსელის გაშლასთან, ძირითადი მობილური ქსელის გაფართოების პროექტებთან და მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ კაპიტალურ დანახარჯებს.

** 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დაუმთავრებელი მშენებლობის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ყოფილი Telegraph-ის შენობისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთის საბალანსო ღირებულებას.

(a) უზრუნველყოფა

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ქონება, საბალანსო ღირებულებით 33,651 ათასი ლარი (2022: 34,854 ათასი ლარი) დაგირავებულია ჯგუფის საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული აკრედიტაციის დავალიანების უზრუნველსაყოფად.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ქონება საბალანსო ღირებულებით 354 მილიონი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: 309 მილიონი ლარი) დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველყოფის სახით (იხ. შენიშვნა 18).

(b) ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა ნიშანი, რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე დაბლა დაეცა. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ჯგუფის ძირითადი საშუალებები ხუთ დიდ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს უკავშირდება:

- სატელეკომუნიკაციო ქონება საქართველოში (მოიცავს ორ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულს: ფიქსირებული მომსახურება და მობილური მომსახურება);
- სასტუმრო და კაზინო თბილისში, საქართველო;
- სასტუმრო და კაზინო ბათუმში, საქართველო;
- სასტუმროები წინანდალში, საქართველო;
- სასტუმრო ტელეგრაფი თბილისში, საქართველო;
- კომპლექსი რესპუბლიკა.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, გაუფასურების მაჩვენებლები არ ყოფილა გამოვლენილი ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ხელმძღვანელობამ ბასს 36-ის მიხედვით გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები (გარე და შიდა) და დაასკვნა, რომ არსებობს გაუფასურების ნიშნები, "რედისონ ქოლექშენ სასტუმროსთვის" (რომელიც მდებარეობს წინანდალში, და შეტანილია ზემოაღნიშნული "წინანდალის სასტუმროების" ჯგუფში), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებითი ზრდის, დოლარის ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურების და იმ ფაქტის გამო, რომ აღნიშნული სასტუმრო ჯერ კიდევ "სტარტ-აპ" ეტაპზეა და არის ზარალიანი, 2020-2022 წლებში, კოვიდ-19 ით გამოწვეული შენელების გათვალისწინებით.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, რედისონ ქოლექშენ სასტუმროს ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებით, რაც ძირითადი საშუალებების გამოყენებით ღირებულებას არის მიახლოებული. ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებები მოიცავს 13.1% -ის ოდენობით დისკონტირების განაკვეთს და 2.37%-ის ოდენობით გრძელვადიან ზრდის განაკვეთს. სარეალიზაციო ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება იქნა გამოთვლილი ხელმძღვანელობის მიერ, დამოუკიდებელი შემფასებლის დახმარებით, შემოსავლის მეთოდის გამოყენებით. შედეგად, გაუფასურების ზარალები არ ყოფილა აღიარებული.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, გაუფასურების მაჩვენებლები არ ყოფილა გამოვლენილი ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის სხვა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულებისთვის.

(c) სხვა გრძელვადიანი აქტივები

2023 წლის 31 დეკემბერს სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს 31,138 ათასი ლარის ოდენობით და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილ ავანსებს 31,117 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 29,109 ათასი ლარი სასტუმრო ტელეგრაფის მშენებლობას უკავშირდება (2022: დაუმონტაჟებელი მოწყობილობები - 22,832 ათასი ლარი და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები - 9,380 ათასი ლარი).

10. საინვესტიციო ქონება

'000 ლარი	მიწები	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა*	სულ
თვითღირებულება/დასაშვები საწყისი ღირებულება				
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	208,407	128,887	19,494	356,788
შესყიდვები	202	5,492	3,033	8,727
გადაცემა ძირითადი საშუალებებიდან	-	(83,060)	-	(83,060)
გადაცემები	-	5,833	(5,833)	-
გასვლები და ჩამოწერები	-	(32)	-	(32)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	208,609	57,120	16,694	282,423
შესყიდვები	-	3,599	2,578	6,177
გასვლები და ჩამოწერები	-	(68)	(133)	(201)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	208,609	60,651	19,139	288,399
ცვეთა				
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	(15,423)	-	(15,423)
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(1,731)	-	(1,731)
გადაცემა ძირითად საშუალებებზე	-	5,357	-	5,357
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(11,797)	-	(11,797)
დარიცხვა წლის განმავლობაში	-	(2,043)	-	(2,043)
ჩამოწერა	-	28	-	28
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(13,812)	-	(13,812)
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2022	208,407	113,464	19,494	341,365
31 დეკემბერი 2022	208,609	45,323	16,694	270,626
31 დეკემბერი 2023	208,609	46,839	19,139	274,587

* დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს 2023 და 2022 წლების განმავლობაში, აჭარის რეგიონში, "ბათუმი რივიერა" საცხოვრებელი კომპლექსის განვითარებისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს, რომლის პირველი ეტაპიც მოსალოდნელია, რომ 2024 წელს დასრულდება და წინანდლის რეგიონში ვილების მშენებლობას.

(a) საინვესტიციო ქონების აღწერა

ჯგუფის საინვესტიციო ქონება მოიცავს შემდეგ უძრავ ქონებას:

- ქონება 1 - წინანდალში (საქართველო) მდებარე "წინანდლის ვილების" მიწის ნაკვეთები და მათი კეთილმოწყობა;
- ქონება 4 - შპს „ახალი ოფისის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში, რუსთაველის გამზირზე (იხ. შენიშვნა 24);
- ქონება 5 - მიწის ნაკვეთი სოფელ მისაქციელში, რომელიც მდებარეობს მისაქციელში, საქართველოში;
- ქონება 6 - შპს „ცენტრ პლაზას“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სანაპიროს ქუჩაზე, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში (იხ. შენიშვნა 24);
- ქონება 7 - შპს „ცენტრ პლაზას“ საკუთრებაში არსებული შენობა, რომელიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში, რუსთაველის გამზირი 37-ში;
- ქონება 3 და 8 - შპს „ახალი ოფისის“ და შპს „ცენტრ პლაზას“ საკუთრებაში არსებული მიწისქვეშა ობიექტები, რომლებიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში, ვარდების რევოლუციის მოედანთან ახლოს (იხ. შენიშვნა 24);
- ქონება 9 - ბათუმი რივიერას მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს ბათუმში, საქართველოში;
- ქონება 10 - მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს ქობულეთში, საქართველოში;
- ქონება 11 - მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს ბათუმში, საქართველოში;
- ქონება 12 - მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს ხელვაჩაურში, საქართველოში;
- ქონება 13 - მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს თბილისში, საქართველოში;
- ქონება 14 - მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს ფოთში, საქართველოში;
- ქონება 15 - მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს აბასთუმანში, საქართველოში;
- ქონება 16 - სს „სილქნეტის“ მიერ ფლობილი მიწის ნაკვეთი საქანელას ქუჩაზე.

ხელმძღვანელობამ მოახდინა ქონების კლასიფიკაცია საინვესტიციო ქონების სახით, რადგან აღნიშნული ქონება ფლობილია საიჯარო შემოსავლის გამომუშავების, ან ღირებულების ზრდის მიზნით, ან მისი სამომავლო განუსაზღვრელი გამოყენებისთვის (ქონება, რომელიც ფლობილია განუსაზღვრელი მომავალი გამოყენებისთვის იქნება კლასიფიცირებული ძირითად საშუალებებში თუ და მაშინ, როდესაც ჯგუფი დაიწყებს ქონების საკუთარი გამოყენებისთვის განვითარებას). მოიჯარეებზე გასაწევი დამხმარე მომსახურებები წარმოადგენს გარიგების (მის მთლიანობაში) შედარებით უმნიშვნელო კომპონენტს, ქონებისთვის, რომლებიც მფლობელობაშია საიჯარო შემოსავლის გამომუშავების მიზნით. გარკვეული ქონებების არა-არსებითი ნაწილები ფლობილია ჯგუფის მიერ საკუთარი გამოყენების მიზნით, მაგრამ კლასიფიცირებულია საინვესტიციო ქონების სახით, რადგან წარმოადგენს მთლიანი საინვესტიციო ქონების არა-არსებით კომპონენტებს.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, საინვესტიციო ქონების ძირითადი ნაწილი ფლობილია ღირებულების ზრდის მიზნით ან მისი სამომავლო განუსაზღვრელი გამოყენებისთვის და, შედეგად, ჯგუფს არ ჰქონდა არსებითი საიჯარო შემოსავალი არც 2023 და არც 2022 წლებში.

(b) საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის ხელმძღვანელობამ, გარე, დამოუკიდებელი შემფასებლების დახმარებით, შეაფასა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება.

სამართლიანი ღირებულების შეფასება განეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს, შეფასების მეთოდებში გამოყენებული მნიშვნელოვანი არაეძპირიული კორექტირებების გამო.

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

'000 ლარი	მიდგომა	სამართლიანი ღირებულებები		საბალანსო ღირებულებები	
		2023	2022	2023	2022
ქონება 3,4,5,6, 9-16	უკანასკნელი საბაზრო გარიგებები**	390,953	354,428	226,021	222,113
ქონება 7*	საბაზრო/შემოსავლის მიდგომა	28,096	25,758	13,395	13,632
ქონება 1,8	შემოსავლის მიდგომა	79,875	57,553	35,171	34,881
სულ		498,924	437,739	274,587	270,626

* 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, მე-7 ქონების სამართლიანი ღირებულება საბაზრო და შემოსავლის მიდგომებით განისაზღვრა, რომელიც ხელმძღვანელობამ და დამოუკიდებელმა შემფასებელმა მეტად შესაბამისად მიიჩნიეს.

** 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, 2,333 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე ქონების სამართლიანი ღირებულებები მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

შეფასების ტექნიკა და მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების ტექნიკა, ისევე როგორც მნიშვნელოვანი გამოყენებული არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

შეფასების ტექნიკა	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები	ურთიერთდამოკიდებულება ძირითად არაემპირიულ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებას შორის
შემოსავლის მიდგომა: 1 და 8 ქონების სამართლიანი ღირებულება შეფასებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემოძინების და გადინების საფუძველზე, რომლებიც წარმოიშვება საოპერაციო საქმიანობიდან და იჯარებიდან.	- 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, შეფასებაში გამოყენებული დისკონტირების და კაპიტალიზაციის განაკვეთები 10%-12.8%-მდე და 10%-13%-მდე დიაპაზონში მერყეობს, შესაბამისად.	სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გაიზრდებოდა (შემცირდებოდა) თუ: - ალდგენის განაკვეთი ("reversion rate") იქნებოდა უფრო (მაღალი) დაბალი
შემოსავლის/საბაზრო მიდგომა: სამართლიანი ღირებულება მიეკუთვნება მე-7 ქონებას, რომელიც წარმოადგენს მრავალფუნქციური შენობის ნაწილს საცხოვრებელი, საცალო და საოფისე ფართებით. თითოეული ქონება რეგისტრირებულია საკუთარი საკადასტრო კოდით.	- 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, შეფასებაში გამოყენებული დისკონტირების და კაპიტალიზაციის განაკვეთები 10%-12.8%-მდე და 10%-13%-მდე დიაპაზონში მერყეობს, შესაბამისად. - მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები უკავშირდება სხვაობებს მიწის მახასიათებლებში, როგორც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, ქონების მდგომარეობა და მოლაპარაკებების გზით მიღწეული ფასდაკლება, რომლისთვისაც შემფასებელმა გამოიყენა 5% დან 10%-მდე კორექტირებები დაკვირვებად მოთხოვნილ ფასებზე.	- სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გაიზრდებოდა (შემცირდებოდა) თუ: - ალდგენის განაკვეთი ("reversion rate") იქნებოდა უფრო (მაღალი) დაბალი - თავდაპირველი ინვესტიცია იქნებოდა უფრო (მაღალი) დაბალი - სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გაიზრდებოდა (შემცირდებოდა) თუ გამოცხადებული მოთხოვნილი ფასები იქნებოდა უფრო მაღალი (დაბალი)
საბაზრო მიდგომა გამოყენებული იყო საცხოვრებელი ფართების შესაფასებლად, ხოლო საცალო და საოფისე ფართები შეფასდა შემოსავლის მიდგომის გამოყენებით.		

შპს "სილქ როუდ გრუპ კოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შეფასების ტექნიკა	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები	ურთიერთდამოკიდებულება ძირითად არაემპირიულ მონაცემებსა და სამართლიანი ღირებულების შეფასებას შორის	
		სავარაუდო ღირებულება (შემცირდებოდა)	სამართლიანი გაიზრდებოდა (დაბალი)
უკანასკნელი საბაზრო გარიგებები:	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები	სავარაუდო ღირებულება (შემცირდებოდა)	სამართლიანი გაიზრდებოდა (დაბალი)
შეფასების მოდელი დაფუძნებულია მსგავს ადგილმდებარეობაზე და მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი მსგავსი ქონების გამოცხადებულ მოთხოვნილ ფასებზე.	უკავშირდება სხვაობებს მიწის მახასიათებლებში, როგორც არის, ზომა, ადგილმდებარეობა, წვდომა ქონებაზე და მოლაპარაკებების გზით მიღწეული ფასდაკლება, რომლისთვისაც შემფასებელმა გამოიყენა 5% დან 35%-მდე კორექტირებები დაკვირვებად მოთხოვნილ ფასებზე.	სავარაუდო ღირებულება (შემცირდებოდა)	სამართლიანი გაიზრდებოდა (დაბალი)

(c) უზრუნველყოფა

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის საინვესტიციო ქონება საბალანსო ღირებულებით 86 მილიონი ლარი და 140 მილიონი ლარი, შესაბამისად, დაგირავებული იყო ჯგუფის მიერ სს "თიბისი ბანკისგან" აღებული უზრუნველყოფილი სესხების ფარგლებში (იხ. შენიშვნა 18).

11. არამატერიალური აქტივები

'000 ლარი	ქსელის ოპერირების და კომპიუტერული უზრუნველყოფის ლიცენზიები	ტელეკომუნიკაციების მართვის ლიცენზიები და სამაუწყებლო უფლებები	გუდვილი	კაზინოს ნებართვა, სლოტ აპარატების და სხვათა პროგრამული უზრუნველყოფა*	სხვა	სულ
თვითღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	119,945	242,699	6,983	8,069	9,714	387,410
დაგროვილი ცვეთა	(55,030)	(109,051)	-	(2,450)	(5,133)	(171,664)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	64,915	133,648	6,983	5,619	4,581	215,746
შესყიდვები	16,664	11,390	-	5,580	1,719	35,353
ამორტიზაციის დარიცხვა	(16,402)	(29,843)	-	(4,377)	(1,557)	(52,179)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო	(5)	(1,132)	-	(1,874)	-	(3,011)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია	-	406	-	1,752	-	2,158
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	65,172	114,469	6,983	6,700	4,743	198,067
თვითღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	136,604	252,957	6,983	11,775	11,433	419,752
დაგროვილი ცვეთა	(71,432)	(138,488)	-	(5,075)	(6,690)	(221,685)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	65,172	114,469	6,983	6,700	4,743	198,067
შესყიდვები	10,250	21,251	-	5,680	1,620	38,801
შეძენა შვილობილი კომპანიის საშუალებით	227	123	-	-	1,612	1,962
ამორტიზაციის დარიცხვა	(16,625)	(28,256)	-	(5,704)	(1,882)	(52,467)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ბრუტო	(422)	-	-	(5,632)	-	(6,054)
გასვლა და აღიარების შეწყვეტა, ამორტიზაცია	-	-	-	5,563	-	5,563
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	58,602	107,587	6,983	6,607	6,093	185,872
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	146,659	274,331	6,983	11,823	14,665	454,461
დაგროვილი ამორტიზაცია	(88,057)	(166,744)	-	(5,216)	(8,572)	(268,589)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	58,602	107,587	6,983	6,607	6,093	185,872

*ძირითადი ნაწილი, თბილისში კაზინოს საქმიანობისთვის მოპოვებულ „კაზინოს ნებართვას“ წარმოადგენს. კაზინოს ნებართვა მიიღება ყოველწლიურად 5 მილიონი ლარის გადახდის საფუძველზე, რათა კაზინომ იმუშაოს გადახდის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ყოველ წელს ჯგუფი იღებს ახალ ნებართვას მას შემდეგ რაც ძველს ვადა გასდის, მაშასადამე ზემოთ მოცემული უწყვეტობის ცხრილი დიდი ოდენობით მატებას და გასვლას ასახავს წლის განმავლობაში. ბათუმში კაზინოს ოპერირების ნებართვა 250 ათასი ლარი ღირს. სხვაობა ნებართვის ღირებულებაში საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება და კაზინოს საქმიანობის ადგილმდებარეობას უკავშირდება.

12. იჯარები

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები დიდწილად უკავშირდება სხვადასხვა ტერიტორიების იჯარებს (მიწა, სახურავების ზედაპირი, სივრცე ფიჭურ კომპლექსში და სივრცე ბოჭკოვანი კაბელებისთვის, და ა.შ.) რაც ჯგუფის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის განთავსებას უკავშირდება. ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც არის გრძელვადიანი ხელშეკრულებით ან არსით. რადგან ეფექტური საიჯარო ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს, ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო ვადები შეიძლება განსხვავდებოდეს მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდებისგან. სხვაობების შეჯამება არის შემდეგი:

	მინიმალური საწყისი სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდი	საიჯარო ვადის შეფასება გამოყენებული ფასს 16-ის მიზნებისთვის გადასვლიდან
ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	4-10	იგივე რაც სახელშეკრულებო
ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	1-6*	7

*მინიმალური სახელშეკრულებო საიჯარო პერიოდები >70% მობილური ტერიტორიებისთვის, ხელშეკრულების დაწყების თარიღისთვის, 1-6 წლამდე დიაპაზონში მერყეობს.

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, ჯგუფი ადისკონტირებს მის საიჯარო გადახდებს მისი ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით იჯარის აღიარების თარიღისთვის. 2023 და 2022 წლებში გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი (ლარში) იყო დაახლოებით 12%.

'000 ლარი	ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	25,194	2,181	27,375
შესყიდვები	3,248	3,404	6,652
გასვლები	(3,061)	-	(3,061)
დაგროვილი ცვეთის გასვლა	1,378	-	1,378
ცვეთის დარიცხვა	(8,796)	(1,126)	(9,922)
მთლიანი ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	52,397	9,263	61,660
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	(34,434)	(4,804)	(39,238)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	17,963	4,459	22,422
საიჯარო ვალდებულება 2023 წლის 1 იანვარს	(30,470)	(3,055)	(33,525)
შესყიდვები	(3,248)	(3,404)	(6,652)
გასვლები	1,370	-	1,370
პროცენტის დარიცხვა	(2,571)	(513)	(3,084)
გადახდები	11,916	1,563	13,479
უცხოური გაცვლითი კურსების ცვლილების გავლენა	23	(6)	17
საიჯარო ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	(22,980)	(5,415)	(28,395)

'000 ლარი	ტერიტორიის იჯარა მობილური მომსახურებისთვის	ტერიტორიის იჯარა ფიქსირებული მომსახურებისთვის	სულ
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	31,834	3,283	35,117
შესყიდვები	3,160	-	3,160
გასვლები	(2,313)	-	(2,313)
დაგროვილი ცვეთის გასვლა	747	-	747
ცვეთის დარიცხვა	(8,234)	(1,102)	(9,336)
მთლიანი ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	52,211	5,859	58,070
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	(27,017)	(3,678)	(30,695)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	25,194	2,181	27,375
საიჯარო ვალდებულება 2022 წლის 1 იანვარს	(37,674)	(4,881)	(42,555)
შესყიდვები	(3,160)	-	(3,160)
გასვლები	1,296	-	1,296
პროცენტის დარიცხვა	(3,468)	(428)	(3,896)
გადახდები	12,071	1,756	13,827
უცხოური გაცვლითი კურსების ცვლილების გავლენა	465	498	963
საიჯარო ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	(30,470)	(3,055)	(33,525)

13. სასესხო მოთხოვნები

სესხები გაცემულია დაკავშირებულ მხარეებზე. არცერთი სესხი არ არის უზრუნველყოფილი. ჯგუფის საკრედიტო, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 21-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები		
დაკავშირებული მხარის სესხები	23,374	233,165
მოკლევადიანი აქტივები		
დაკავშირებული მხარის სესხები	5,184	990
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის რეზერვი	(35)	(2,503)
	28,523	231,652

(ა) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
დაკავშირებული მხარის სესხი	ლარი	10%	2030	13,077	8,788	11,932	7,643
დაკავშირებული მხარის სესხი	ლარი	13%	2025	7,804	7,804	4,723	4,723
დაკავშირებული მხარის სესხი	ლარი	10%	2024	5,184	5,149	9,722	9,687
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	7%	2025	4,272	4,272	5,778	5,778
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	9%	2025	1,526	1,526	1,188	1,188
დაკავშირებული მხარის სესხი	ლარი	14%	2025	984	984	522	522
დაკავშირებული მხარის სესხი*	აშშ დოლარი	11%	2025	-	-	104,672	103,860
დაკავშირებული მხარის სესხი*	აშშ დოლარი	12%	2024	-	-	60,029	59,628
დაკავშირებული მხარის სესხი*	აშშ დოლარი	10%	2025	-	-	19,836	18,646
დაკავშირებული მხარის სესხი*	აშშ დოლარი	10%	2025	-	-	18,711	18,711
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	14%	2022	-	-	1,053	990
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	14%	2025	-	-	278	276
სულ პროცენტთან აქტივები				32,847	28,523	238,444	231,652

*2023 წლის ივნისში, 206,848 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე დაკავშირებული მხარის სესხები იქნა გადაცემული შესაბამისი კონტრაქტების მიერ კომპანიის მშობელი კომპანიისთვის, „Comodon Holding (Malta) Limited“-თვის. შედეგად, „Comodon Holding (Malta) Limited“-მა 206,846 ათასი ლარით შეამცირა კომპანიის კაპიტალი (იხ. შენიშვნა 16) და გადაფარა კომპანიის მიმართ ზემოაღნიშნული გარიგების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება, კომპანიის მიმართ არსებული, კაპიტალის შემცირების შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნის საპირფონედ.

2022 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 11,632 ათასი აშშ დოლარის და 1,003 ათასი ლარის ოდენობით მთლიანი დაუფარავი სესხების პატიების შესახებ. გარიგება განხილულ იქნა, როგორც გარიგება აქციონერებთან, რომლებიც აქციონერების უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებენ და შესაბამისად, 32,435 ათასი ლარი პირდაპირ კაპიტალში იქნა აღიარებული.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები ტელეკომიდან	35,011	29,291
სავაჭრო მოთხოვნები უძრავი ქონებიდან	8,252	11,096
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	721	363
	43,984	40,750

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ტელეკომის მიმართ არსებულ სავაჭრო მოთხოვნებში შეტანილი 21,826 ათასი ლარი წარმოადგენს მოთხოვნებს აბონენტების მიმართ (2022 წლის 31 დეკემბერი: 20,739 ათასი ლარი).

ჯგუფის საკრედიტო, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 21-ე შენიშვნაში.

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბანკო ნაშთები	203,917	106,363
ფულადი სახსრები გზაში	2,807	2,623
ნაღდი ფული	9,531	11,962
აშშ-ს სახაზინო ვალდებულებები	-	18,845
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	216,255	139,793

ჯგუფის საკრედიტო, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია 21-ე შენიშვნაში.

ჯგუფის ევროობლიგაციების ერთ-ერთი კოვენანტის მიხედვით (იხ. შენიშვნა 18), ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (ან მისი ეკვივალენტური ოდენობა ლარში, დისკონტირებული "ახალი ევროობლიგაციების ვადებისა და პირობების" მიხედვით) "თავისუფალი ფულადი სახსრები" ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ჩათვლით (როგორც ეს განსაზღვრულია "ახალი ევროობლიგაციების ვადებითა და პირობებით") თითოეული ფინანსური კვარტლის ბოლოს ახალი ევროობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 2023 წლის 31 იანვრამდე პერიოდის განმავლობაში. 2023 წლის 31 იანვრიდან, ჯგუფს შეუძლია აირჩიოს ან შეინარჩუნოს „თავისუფალი ფულადი სახსრები“ ყოველი ფისკალური კვარტლის ბოლოსთვის, ან ალტერნატიულად, შექმნას და შეინარჩუნოს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზი, ობლიგაციებზე პროცენტების გადახდისთვის.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი ინარჩუნებს სულ მცირე 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (ან მისი ეკვივალენტური ოდენობა ლარში, „ვადებისა და პირობების“ მიხედვით) ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების „თავისუფალ ფულად სახსრებს“ („ახალი ევროობლიგაციების ვადებისა და პირობების“ მიხედვით). კოვენანტი არ ზღუდავს "თავისუფალი ფულადი სახსრების" გამოყენებას, შესაბამისად დაკავშირებული ნაშთი წარმოდგენილია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

2022 წელს, ჯგუფმა განახორციელა ინვესტიცია აშშ-ს სახაზინო ობლიგაციებში 3 თვეზე ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით. ინსტრუმენტი არის მაღალი რისკის, მაშასადამე კლასიფიცირდება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით.

მოთხოვნამდე ანაზრები წარმოადგენს ვადიან ანაზრებს ბანკებში, 3 თვეზე ნაკლები დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან, ან სამთვიანი ან მეტი დაფარვის ვადით განთავსების თარიღიდან და რომლებსაც „ჯგუფს“ აქვს ანაზრის გატანის ცალმხრივი უფლება შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, დაუყოვნებლივ, ჯარიმების გადახდის და არსებითი საპროცენტო ზარალის გარეშე. შედეგად, აღნიშნული ვადიანი ანაზრების კლასიფიკაცია მოხდა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რაც წარმოადგენს მოთხოვნამდე ანაზრს.

16. კაპიტალი

(a) კაპიტალი

კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

'000 ლარი	2023	2022
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1,167,407	1,167,407
კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 13)	(206,848)	-
ნაშთი პერიოდის ბოლოს	960,559	1,167,407

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს განთავსებული კაპიტალი საქართველოს ახალი კანონმდებლობის მიხედვით.

(b) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიები უნდა ფლობდნენ გასანაწილებელ რეზერვებს იმ ოდენობით, რომ მათი მთლიანი აქტივები ფარავდეს მთლიან ვალდებულებებს და განთავსებულ კაპიტალს, როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2023 წელს, ჯგუფის საწარმოებმა გამოცხადეს 14,508 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები უმცირესობის აქციონერებზე; 6,240 ათასი ლარი იქნა ურთიერთგადაფარული იგივე კონტრაქტის მიმართ არსებულ სასესხო მოთხოვნასთან (2022: 3,703 ათასი ლარი; 2,640 ათასი ლარი იქნა ურთიერთგადაფარული იგივე კონტრაქტის მიმართ არსებულ სასესხო მოთხოვნებთან).

(c) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით და გრძელვადიანი სესხებითა და კრედიტებით ფინანსდება. ამ ღონისძიებების გატარებით, ჯგუფი მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

არც კომპანია და არც მისი შვილობილი კომპანიები არ ექვემდებარებიან გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

(d) უზრუნველყოფა

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს "წინანდლის მამულებში" შპს „სილქ რიალ ისთეით“-ის წილი (იხ. შენიშვნა 24) დაგირავებულია "პარტნიორთა ხელშეკრულებასთან" და უზრუნველყოფილ საბანკო სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნები 18 და შენიშვნა 20). საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, სს „საქართველოს განვითარების ფონდთან“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) დაკავშირებული გირავნობა იქნა გაუქმებული (იხ. შენიშვნა 29).

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს „სილქ რიალ ისთეით“-ის წილები შპს "ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტში", შპს "მედეა ოფერეთინგ კომპანიში", შპს "ლიმონი 2009"-ში, შპს "ლიმონი რიალ ისთეითში" და სს "ახალი სასტუმროში" (იხ. შენიშვნა 24) დაგირავებულია სს „თიბისი ბანკისგან“ აღებულ უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 18).

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს „სილქ რიალ ისთეით“-ის წილი შპს „ბათუმი რივიერაში“ (იხ. შენიშვნა 24) დაგირავებულია სს „თიბისი ბანკისგან“ აღებულ უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 18).

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის წილები შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერში" (იხ. შენიშვნა 24) დაგირავებულია სს "თიბისი ბანკისგან" აღებულ უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 18).

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს "Tsinandali Resorts"-ში შპს „სილქ რიალ ისთეით“-ის წილი (იხ. შენიშვნა 24) დაგირავებულია უზრუნველყოფილ საბანკო სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 18).

17. არამაკონტროლებელი წილები

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის თითოეულ შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც აქვს არსებითი არამაკონტროლებელი წილი, ნებისმიერ შიდაჯგუფურ გამოქვეყნებამდე.

31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	შპს „სილქ რიალ ისტეით“	შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“	ივერია ცენტრი	ლიმონი 2009	შპს „სილქნეტ ჰოლდინგი“	შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი“	წინანდლის კურორტები	
არამაკონტროლებელი წილის ეფექტური საკუთრების წილი	5%	9%	53%	16%	5%	37%	52%	სულ
სულ აქტივები	551,252	40,102	20,791	102,085	872,683	26,732	8,799	1,622,444
სულ ვალდებულებები	(187,122)	(23,228)	(5,196)	(39,459)	(801,341)	(10,060)	(6,683)	(1,073,089)
წმინდა აქტივები	364,130	16,874	15,595	62,626	71,342	16,672	2,116	549,355
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	18,206	1,531	8,217	10,095	3,566	6,124	1,091	48,830
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	(37,970)	4,178	3,971	41,940	154,388	3,672	528	170,707
არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	(1,899)	368	2,115	6,878	7,719	1,349	277	16,807
ჯგუფის საწარმოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(8,528)	(5,980)	-	-	(14,508)
არამაკონტროლებელ წილებზე მიკუთვნებადი კაპიტალის სხვა მოძრაობა	(725)	(1,843)	5,978	-	(737)	-	-	2,673
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)	(12,521)	7,159	(123)	45,796	334,407	5,161	170	380,049
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/ (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	39,372	(3,107)	-	(45,651)	87,935	(1,360)	-	77,189
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(9,721)	(308)	-	(3,631)	(176,553)	(4,804)	-	(195,017)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	17,130	1,149	(123)	(3,486)	69,919	(1,003)	170	83,756

31 დეკემბერი 2022

'000 ლარი	შპს „სილქ რიალ ისტეით“	შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“	ივერია ცენტრი	ლიმონი 2009	შპს „სილქნეტ ჰოლდინგი“	შპს „ბაზვი ჰაიდრო პაუერი“	წინანდლის კურორტები	
არამაკონტროლებელი წილის ეფექტური საკუთრების წილი	5%	9%	53%	16%	5%	37%	52%	სულ
სულ აქტივები	674,232	59,092	21,733	118,938	825,797	23,816	9,367	1,732,975
სულ ვალდებულებები	(222,015)	(25,454)	(21,496)	(46,252)	(774,511)	(10,816)	(7,789)	(1,108,333)
წმინდა აქტივები	452,217	33,638	237	72,686	51,286	13,000	1,578	624,642
არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულება	20,830	3,006	124	11,745	2,564	4,775	814	43,858
მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	(9,947)	1,394	1,320	52,668	131,954	4,551	(301)	181,639
არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	(497)	123	693	8,638	6,596	1,672	(155)	17,070
არამაკონტროლებელი წილის შეძენა	-	(95)	-	(3,608)	-	-	-	(3,703)
არამაკონტროლებელ წილებზე მიკუთვნებადი კაპიტალის სხვა მოძრაობა	(1,112)	782	-	-	(801)	-	-	(1,131)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან/(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)	(12,521)	2,112	(123)	63,800	283,693	5,161	170	342,292
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/ (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	39,372	(753)	-	(58,303)	(96,537)	(1,360)	-	(117,581)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული/(საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(9,721)	3,666	-	(4,034)	(161,327)	(4,804)	-	(176,220)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	17,130	5,025	(123)	1,463	25,829	(1,003)	170	48,491

18. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე ჯგუფის დამოკიდებულებების შესახებ მეტი ინფორმაცია იხილეთ 21-ე შენიშვნაში.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ევროობლიგაციები - გრძელვადიანი	529,658	532,139
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები - გრძელვადიანი	109,411	3,315
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები - გრძელვადიანი	111,954	176,837
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	42,270	62,077
სესხები მესამე მხარეებისგან	656	8,144
	793,949	782,512
ევროობლიგაციები - მოკლევადიანი	21,176	19,925
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები - მოკლევადიანი	15,055	21,215
არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები - მოკლევადიანი	2,779	51
მესამე მხარეების სესხების მიმდინარე წილი	1,008	12,929
დაკავშირებული მხარეების სესხების მიმდინარე წილი	243	-
	40,261	54,120
	834,210	836,632

(a) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი							
დაკავშირებული მხარის სესხი	ევრო	6%	2026	33,796	33,796	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	7,5% + Euribor 6 თვიანი	2033	27,009	27,009	32,756	32,756
		5.25% + სებ რეფინანსირების განაკვეთი	2033	14,087	14,087	21,553	21,553
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	5.25% + სებ რეფინანსირების განაკვეთი	2027	13,587	13,587	18,278	18,278
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	5.25% + სებ რეფინანსირების განაკვეთი	2023	10,010	10,010	10,393	10,393
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	7,5% + Euribor 6 თვიანი	2033	8,644	8,644	-	-
		6% + სებ რეფინანსირების განაკვეთი	2027	7,294	7,294	10,215	10,215
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	3% + რეფინანსირების განაკვეთი	2027	6,831	6,831	8,048	8,048
		5.25% + სებ რეფინანსირების განაკვეთი	2033	6,669	6,669	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	6%+Libor	2030	6,044	6,044	6,717	6,717
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	6.5% + SOFR	2028	4,933	4,933	5,884	5,884
		5.25% + სებ რეფინანსირების განაკვეთი	2033	4,468	4,468	4,640	4,640
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	5.75% + რეფინანსირების განაკვეთი	2027	3,898	3,898	4,557	4,557
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	7.5% + SOFR	2033	3,880	3,880	5,148	5,148
მშობელი კომპანიის სესხი	ევრო	0.75% + 12-თვიანი EURIBOR	2025	3,800	3,800	5,251	5,251
		5.56% + რეფინანსირების განაკვეთი	2027	3,513	3,513	-	-
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ლარი	6% + სებ რეფინანსირების განაკვეთი	2027	2,418	2,418	2,820	2,820
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	7.85% + SOFR	2033	2,025	2,025	12,696	12,696
უზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	ლარი	12%	2035	1,838	1,838	1,935	1,935

'000 ლარი	გალუბა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველყოფილი							
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	9%	2035	1,763	1,763	1,852	1,852
არაუზრუნველყოფილი მესამე მხარის სესხი	ლარი	14%	მოთხოვნამდე	990	990	920	920
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	6-თვიანი EURIBOR+7.5%	2024	864	864	-	-
უზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	12%	2035	846	846	881	881
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	10.5%	2024	835	835	-	-
უზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	ევრო	9%	2029	362	362	323	323
არაუზრუნველყოფილი მესამე მხარის სესხი	აშშ დოლარი	15%	2030	376	350	474	347
არაუზრუნველყოფილი მესამე მხარის სესხი	ლარი	16%	2025	206	206	175	175
არაუზრუნველყოფილი მესამე მხარის სესხი	ლარი	14%	2025	100	100	92	92
მშობელი კომპანიის სესხი #2	აშშ დოლარი	0.75% + 6-თვიანი SOFR	2080	2,882	68	-	-
არაუზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	10%	2025	40	40	41	41
არაუზრუნველყოფილი მესამე მხარის სესხი	ევრო	11%	2023	18	18	63	63
ევროობლიგაციები	აშშ დოლარი	8.375%	2027	558,375	550,834	560,991	552,064
ადგილობრივი ობლიგაციები	აშშ დოლარი	9%	2026	54,836	54,155	-	-
ადგილობრივი ობლიგაციები	აშშ დოლარი	9.25%	2026	55,260	54,667	-	-
ადგილობრივი ობლიგაციები	აშშ დოლარი	9.40%	2027	3,368	3,368	3,366	3,366
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	9%+ SOFR	2033	-	-	25,856	25,856
მშობელი კომპანიის სესხი #1	აშშ დოლარი	4%	2030	-	-	34,934	25,073
უზრუნველყოფილი მესამე მხარის სესხი	აშშ დოლარი	9%	2023	-	-	11,946	11,946
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	7.85% + SOFR	2033	-	-	11,284	11,284
არაუზრუნველყოფილი მესამე მხარის სესხი	ლარი	14%	2025	-	-	7,530	7,530
არაუზრუნველყოფილი დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	0.75% + 12-თვიანი Libor	2030	-	-	7,433	7,433
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	7.5% + 6-თვიანი Euribor	2023	-	-	6,018	6,018

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	7.85% + SOFR	2033	-	-	3,801	3,801
არაუზრუნველყოფილი							
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	0%	2025	-	-	3,308	3,308
არაუზრუნველყოფილი							
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	4%	2025	-	-	3,089	3,089
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	ევრო	7.25% + 6-თვიანი Euribor	2033	-	-	2,612	2,612
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	9.45% + SOFR	2033	-	-	2,582	2,582
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	12%	2027	-	-	1,200	1,200
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი	აშშ დოლარი	7.7% + SOFR	2033	-	-	994	994
არაუზრუნველყოფილი							
დაკავშირებული მხარის სესხი	აშშ დოლარი	0.75% + 12-თვიანი Libor	2030	-	-	359	359
საბოლოო მშობელი კომპანია	აშშ დოლარი	0%	2023	-	-	18,746	12,532
სულ პროცენტული ვალდებულებები				845,865	834,210	861,761	836,632

2023 წელს, შპს „სილქ რიალ ისთეიტმა“ გამოუშვა 40 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები ორ ტრანშად. პირველ ტრანშს, 20 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით, აქვს 9.00%-იანი კუპონის განაკვეთი (წლიური, ბრუტო), დაფარვის ვადით 3 წელიწადი. მეორე ტრანშს, 20 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით, აქვს 9.25%-იანი კუპონის განაკვეთი (წლიური, ბრუტო), დაფარვის ვადით 3 წელიწადი. შედეგად, 2023 წელს შპს "სილქ რიალ ისთეითი" გახდა საქართველოს საფონდო ბირჟაზე საჯაროდ დალისტული კომპანია.

ჯგუფის ძირითადი საშუალებები, ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, არამატერიალური აქტივები და საინვესტიციო ქონება დაგირავებულია უზრუნველყოფილ საბანკო სესხებთან და უზრუნველყოფილ სესხებთან მიმართებაში (იხ. შენიშვნები 9, 10, 11 და 16).

2022 წლის 7 აგვისტოს, ჯგუფსა და მის მშობელ კომპანიას შორის გაფორმდა სესხის კორექტირება სესხის ვადის გახანგრძლივების თაობაზე, 2022 წლის 31 დეკემბრიდან 2030 წლის 31 დეკემბრამდე, არასაბაზრო პირობებზე (4%-იანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთით). შედეგად, თავდაპირველი აღიარებისას, მშობელი კომპანიის სესხი #1 იქნა დისკონტირებული 7.6%-იანი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და 9,900 ათასი ლარის ოდენობით სხვაობა სესხის საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის აღიარებულ იქნა პირდაპირ კაპიტალში. 2023 წლის განმავლობაში, ზემოაღნიშნული სესხი სრულად იქნა დაფარული და 9,785 ათასი ლარის ოდენობით ნაადრევი დაფარვის გავლენა, მშობელი კომპანიის სესხი #2 -ის 2,548 ათასი ლარის ოდენობით თავდაპირველი დისკონტირების გავლენასთან და 1,244 ათასი ლარის ოდენობით დაკავშირებული მხარის სესხების სამართლიანი ღირებულებების სხვა კორექტირებებთან ერთად, პირდაპირ კაპიტალიდან გამოიქვითა.

(ბ) ევრობლიგაციები

2022 წლის 31 იანვარს, ჯგუფმა წარმატებით გამოუშვა 300,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ევრობლიგაციები დაფარვის ვადით 2027 წელი და 8.375%-იანი საპროცენტო განაკვეთით ("ახალი ევრობლიგაციები") Euronext Dublin Exchange-ზე. პროცენტი გადასახდელია ნახევარ წელიწადში ერთხელ - ყოველი წლის 31 იანვარს და 31 ივლისს, და გადახდა იწყება 2022 წლის 31 ივლისს. ახალი ევრობლიგაციებიდან მიღებული შემოსულობებით, ჯგუფმა დაფარა არსებული 200,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ევრობლიგაციები, დაფარვის ვადით 2024 წელი (197,400 ათასი აშშ დოლარი, აღნიშნული მომენტისთვის არსებული დაუფარავი თანხა) და დაფარა 34,981 ათასი ლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი ადგილობრივი ობლიგაციები (გადახდილი ძირითადი თანხა - 34,000 ათასი ლარი). 138,104 ათასი აშშ დოლარი, 2022 წლის 31 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი ევრობლიგაციებიდან, აღნიშნულ ოდენობაზე დარიცხულ, 5,064 ათასი აშშ დოლარის ოდენობით დაუფარავ პროცენტთან ერთად, იქნა გამოქვითული პირდაპირ ახალი ევრობლიგაციებიდან მიღებული შემოსულობებიდან და წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში სესხებიდან მიღებული შემოსულობების გამოკლებით.

ახალი ევრობლიგაციები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ჯგუფმა, ახალი ევრობლიგაციების გამოშვებასთან დაკავშირებით 12,936 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი გასწია, ანდერრაიტინგის საფასურის, იურიდიული კონსულტაციის საფასურის, სარეიტინგო სააგენტოების ხარჯების, ლისტინგის ხარჯების და ა.შ. ჩათვლით. აღნიშნული ხარჯები გარიგების ხარჯების სახით აღირიცხა. ისინი შეტანილია ახალი ევრობლიგაციების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლებში და 5 წლით არის გადავადებული. ახალი ევრობლიგაციების გამოშვების შემდეგ, არსებული ევრობლიგაციები იქნა დაფარული და შესაბამისად მათი აღიარება იქნა შეწყვეტილი ბალანსიდან და აღიარდა შესაბამისი ზარალი აღიარების შეწყვეტაზე 6,642 ათასი ლარის ოდენობით კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გარდა ამისა, ჯგუფმა სატენდერო შეთავაზებასთან და თანხმობის შუამდგომლობასთან დაკავშირებულ პრემიასთან და საკომისიოსთან („ნაადრევი გამოსყიდვის პრემია“) დაკავშირებული 41,675 ათასი ლარის ოდენობით ხარჯები გასწია (იხ. შენიშვნა 6). გარიგების ხარჯების, პრემიისა და საკომისიოს საფასურის ნაწილი გამოქვითულ იქნა პირდაპირ ახალი ევრობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული შემოსულობებიდან და წარმოდგენილია სესხებიდან მიღებული შემოსულობების გამოკლებით, კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2022 წელს, გამოშვების შემდეგ, ჯგუფმა ხელახლა შეიძინა 100,235 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ახალი ევრობლიგაციები. მოხდა ხელახლა შეძენილი ობლიგაციების აღიარების შეწყვეტა მათი ამორტიზებული ღირებულებით და სხვაობა ხელახლა შეძენილ ოდენობასა და ამორტიზებულ ღირებულებას შორის აღიარდა საპროცენტო ხარჯის სახით მოგებასა ან ზარალში.

საანგარიშგებო თარიღთან მიახლოებული თარიღისთვის, საშუალო კოტირება ბაზარზე Bloomberg -ის მიხედვით იყო 100.19% ობლიგაციაზე (2022: 94.80% ობლიგაციაზე).

(c) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

'000 ლარი	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	211	33,525	836,632	870,368
გადახდილი პროცენტი	-	(3,162)	(77,255)	(80,417)
სესხების დაფარვა	-	-	(184,626)	(184,626)
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	-	-	176,131	176,131
გარიგების ხარჯები	-	-	(1,417)	(1,417)
გადახდილი დივიდენდები	(4,865)	-	-	(4,865)
საიჯარო გადახდები	-	(10,312)	-	(10,312)
სულ ცვლილებები დაფინანსებიდან	(4,865)	(13,474)	(87,167)	(105,506)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	-	(22)	1,266	1,244
სხვა ცვლილებები				
მოდულირებით განპირობებული ზარალი				
ფინანსურ ვალდებულებებზე	-	-	2,503	2,503
სხვა მოძრაობა	-	-	3,357	3,357
საპროცენტო ხარჯი	-	3,084	75,150	78,234
სამართლიანი ღირებულების კორექტირება დაკავშირებული მხარის სესხებზე	-	-	8,481	8,481
ჯგუფის საწარმოების მოთხოვნების ურთიერთგადაფარვა ჯგუფის საწარმოების აქციონერების არამაკონტროლებელ მოთხოვნასთან	-	-	(6,012)	(6,012)
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	6,652	-	6,652
ROU-ს და შესაბამისი საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(1,370)	-	(1,370)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	-	8,366	83,479	91,845
სულ კაპიტალთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	4,865	-	-	4,865
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	211	28,395	834,210	862,816

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

’000 ლარი	სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით				
	გადასახდელი დივიდენდები	საიჯარო ვალდებულებები	შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები	სესხები და კრედიტები	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	465	42,555	(6,583)	1,021,391	1,057,828
გადახდილი პროცენტი	-	(4,023)	-	(63,530)	(67,553)
სესხების დაფარვა	-	-	-	(571,827)	(571,827)
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	-	-	-	469,488	469,488
ახალი ევროზონიზაციების გამოშვებასთან დაკავშირებული საოპერაციო საფასური	-	-	-	(6,035)	(6,035)
პრემია და საკომისიო გამოშვებული ობლიგაციების ნაადრევ გამოსყიდვაზე	-	-	-	(7,403)	(7,403)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა გადახდები	-	-	2,721	-	2,721
გადახდილი დივიდენდები	(208)	-	-	-	(208)
საიჯარო გადახდები	-	(9,804)	-	-	(9,804)
სულ ცვლილებები დაფინანსებიდან	(208)	(13,827)	2,721	(179,307)	(190,621)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა სხვა ცვლილებები	(46)	(963)	-	(126,119)	(127,128)
დამატებით გადახდილი კაპიტალი	-	-	-	(9,900)	(9,900)
სხვა მოძრაობა	-	-	-	1,406	1,406
საპროცენტო ხარჯი	-	3,896	-	84,621	88,517
პრემია და საკომისიო გამოშვებული ობლიგაციების ნაადრევ გამოსყიდვაზე	-	-	-	41,676	41,676
ფინანსური ინსტრუმენტების მოდიფიცირებით განპირობებული ზარალი	-	-	-	6,442	6,442
დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ სესხებთან ურთიერთგადაფარვა	-	-	-	(3,578)	(3,578)
სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის ცვლილების გავლენა	-	-	3,862	-	3,862
პერიოდის განმავლობაში ამოქმედებული საიჯარო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი საიჯარო ვალდებულებების აღიარება	-	3,160	-	-	3,160
ROU-ს და შესაბამისი საიჯარო ვალდებულების ჩამოწერა შეწყვეტილი ხელშეკრულებებისთვის	-	(1,296)	-	-	(1,296)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	-	5,760	3,862	120,667	130,289
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	211	33,525	-	836,632	870,368

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	13,059	34,220	24,214	30,780
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	-	27,081	-	26,486
ვალდებულებები ლიცენზიებისთვის და მაუწყებლობის უფლებებისთვის	8,937	12,147	2,827	13,304
ვალდებულებები სხვა ოპერატორების მიმართ	-	5,135	-	4,699
ვალდებულებები დასაქმებულების მიმართ	17,605	11,157	-	9,043
სხვა ვალდებულებები	-	4,962	-	3,899
გადასახდელი დივიდენდი	-	211	-	211
დღგ და სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	13,831	-	8,373
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	39,601	108,744	27,041	96,795
IRU ხელშეკრულებებიდან მიღებული ავანსები	11,418	1,888	11,935	1,888
აბონენტებისგან მიღებული ავანსები	528	24,511	530	24,357
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები გადახდილი ავანსებიდან	11,946	26,399	12,465	26,245
სულ	51,547	135,143	39,506	123,040

ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და ვალდებულება ლიცენზიებისა და მაუწყებლობის უფლებებისთვის წარმოადგენს გადავადებული გადახდების დისკონტირებულ ღირებულებას, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან, რომლებიც ქსელის განახლებისა და გაფართოების პროექტებს, ასევე არამატერიალურ აქტივებს მაუწყებლობის უფლებებისთვის და IT ტრანსფორმაციას უკავშირდება. ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის და ვალდებულება ლიცენზიისა და მაუწყებლობის უფლებებისთვის ძირითადი ნაწილი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში და შესაბამისად, ექვემდებარება უცხოური გაცვლითი კურსის რყევებს (იხ. შენიშვნა 21).

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია 21-ე შენიშვნაში.

20. ფუტ-ოფციონთან დაკავშირებული ვალდებულებები

შპს „სილქ რიალ ისთით“

2016 წლის 2 სექტემბერს, შპს "წინანდლის სავანესა" (იხ. შენიშვნა 24) და სს "საქართველოს განვითარების ფონდს" (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) (შპს "წინანდლის მამულების" არამაკონტროლებელი წილის მფლობელი) შორის დადებული საპარტნიორო შეთანხმების ფარგლებში, ჯგუფს ჰქონდა შპს "წინანდლის მამულებში" არამაკონტროლებელი წილის შემენის ქოლ ოფციონი საპარტნიორო შეთანხმების თარიღიდან პირველი 6 წლის და 9 თვის განმავლობაში და მეორე მხრივ, სს "საქართველოს განვითარების ფონდს" ჰქონდა მისი "წინანდლის მამულების" კაპიტალში არსებული წილის გაყიდვის ფუტ-ოფციონი, ქოლ-ოფციონის პერიოდის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში. როგორც ქოლ, ასევე ფუტ ოფციონისთვის აღსრულების ფასი განისაზღვრება, როგორც სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ ინვესტიცია შპს "წინანდლის მამულების" კაპიტალში, დამატებული დაგროვილი პროცენტი, რომელიც შეთანხმებულია მხარეებს შორის დადებულ საპარტნიორო შეთანხმებაში. 2021 წლის 5 ოქტომბერს, საპარტნიორო შეთანხმებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სს "საქართველოს განვითარების ფონდის" ფუტ-ოფციონი გადავადდა ორი წლით და იწყება 2025 წლის 31 ივლისიდან.

ჯგუფმა შპს „წინანდლის მამულებში“ განხორციელებულ ინვესტიციაზე გამოიყენა მოსალოდნელი-მესყიდვის მეთოდი და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის აღიარა 42,138 ათასი ლარის ოდენობით ფუთ-ოფციონის ვალდებულება, ოფციონის აღსრულების ფასის მიმდინარე ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც დისკონტირებულია დაახლოებით 12-13%-იანი დისკონტირების განაკვეთით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მას შემდეგ, რაც შპს „სილქ რიალ ისთეიტმა“ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ობლიგაციების გამოშვების შესახებ (იხ. შენიშვნა 1), მისი არსებული ვალდებულებების რეფინანსირების მიზნით და არამაკონტროლებელი აქციონერისგან შპს "წინანდლის მამულების" დარჩენილი წილის შესაძენად, ფუთ-ოფციონის ვალდებულება იქნა დისკონტირებული ანგარიშსწორების თარიღის, 2023 წლის 30 მაისის მიხედვით.

2023 წლის 15 მაისს, გარიგება იქნა დასრულებული და შპს „წინანდლის მამულების“ დარჩენილი წილი იქნა შეძენილი ჯგუფის მიერ 42,383 ათას ლარად. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ფუთ-ოფციონის ვალდებულება სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

2023 და 2022 წლების განმავლობაში, ჯგუფმა პირდაპირ კაპიტალში აღიარა 245 ათასი ლარის და 298 ათასი ლარის ოდენობით ცვლილებები ფუთ-ოფციონის ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში (შესაბამისად). ცვლილებები ძირითადად დისკონტის პოზიციის დახურვას, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ცვლილებას და უცხოური ვალუტის რყევებს უკავშირდება, რადგან ოფციონის აღსრულების ფასი აშშ დოლარშია დენომინირებული.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ფუთ-ოფციონის ვალდებულება აღიარებული იყო როგორც გრძელვადიანი, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების მიხედვით.

შპს „სილქნეტ ჰოლდინგი“

2021 წლის 30 ივნისს შპს "სილქნეტ ჰოლდინგს", მის ბენეფიციარ მესაკუთრეებსა და სს "სილქნეტს" შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით (შენიშვნა 24) (შემდეგში "ხელშეკრულება"), ერთ-ერთ უმცირესობაში მყოფ აქციონერს (შპს "სილქნეტ ჰოლდინგის" 5%-ის არაპირდაპირი მესაკუთრე), გარკვეული პირობების საფუძველზე, აქვს შპს "სილქნეტ ჰოლდინგში" მისი 5 %-იანი არაპირდაპირი წილის კომპანიაზე გაყიდვის ფუთ-ოფციონი. ოფციონი იწყება 2024 წლის 1 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 მაისამდე. ფუთ-ოფციონის აღსრულების ფასი განისაზღვრება სს "სილქნეტის" ფინანსური საქმიანობის შედეგების მიხედვით, ფუთ-ოფციონის დასრულების თარიღამდე წლისთვის ("დასრულების თარიღი"). ფუთ-ოფციონის ფასის გამოთვლაში გამოყენებული ძირითადი დაშვებებია: სს "სილქნეტის" EBITDA, გრძელვადიანი ვალდებულებები და წმინდა მოკლევადიანი აქტივები დასრულების თარიღამდე წლისთვის და ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული EBITDA-ს მულტიპლიკატორი.

ჯგუფმა აღიარა 50,635 ათასი ლარის ოდენობით ფუთ-ოფციონის ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (2022 წლის 31 დეკემბერი: 43,603 ლარი), ოფციონის აღსრულების ფასის მიმდინარე ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც დისკონტირებულია დაახლოებით 16%-იანი დისკონტირების განაკვეთით (2022: 14.3%). 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს სჯერა, რომ ფუთ-ოფციონის ვალდებულების ღირებულება არსებითად არ განსხვავდება დასრულების თარიღებისთვის (2024 წლის 1 მაისსა და 2026 წლის 1 მაისს შორის) და გონივრულად მოსალოდნელია, რომ ფუთ-ოფციონის ვალდებულება იქნება აღსრულებული 2024 წელს. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ოფციონის ფასი იქნება გადახდილი მხარეებს შორის წერილობით შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით 2-იდან 6-მდე თანაბარი წლიური შენატანებით. პირველი შენატანი იქნება გადახდილი არაუგვიანეს აღსრულების თარიღის პირველი წლისთვის. შესაბამისად, ფუთ ოფციონის ვალდებულება იქნა აღიარებული როგორც გრძელვადიანი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის. ჯგუფი ასევე მოელის, რომ სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, და მხარეთა მიერ სხვაგვარად შეთანხმებულის გარდა, აღსრულების ფასის დაფარვა დაიწყება დასრულების თარიღიდან 1 წლის შემდეგ და განხორციელდება 6 თანაბარი წლიური შენატანით.

ფუთ ოფციონის ვალდებულება არ ყოფილა აღსრულებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის.

21. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა განუსაზღვრელობის გათვალისწინებით და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, ევრობლიგაციების გარდა (იხ. შენიშვნა 18(b)), მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 21(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 21(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 21(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს მესაკუთრეებს.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

მესაკუთრეები ზედამხედველობას უწევენ თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავს რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, ჯგუფის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობა ჯგუფის მოთხოვნებთან, სასესხო მოთხოვნებთან და საბანკო ნაშთებთან მიმართებაში. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის იყო შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სასესხო მოთხოვნები	28,523	231,652
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - ტელეკომი	35,011	29,291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - უძრავი ქონება	8,252	11,096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - სხვა	721	363
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	206,724	127,831
	279,231	400,233

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სატელეკომუნიკაციო მომსახურებიდან

საკრედიტო რისკი იმართება კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასების გზით, მანამ სანამ ჯგუფის სტანდარტული გადახდის და მომსახურების პირობები იქნება შეთავაზებული. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

კლიენტის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, კლიენტები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ - იურიდიული, ისინი საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ, გათვალისწინებულია მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მრეწველობა, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და ადრე არსებული ფინანსური სირთულეები.

ჯგუფი განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში მოსალოდნელი ზარალების მისეულ შეფასებას. აღნიშნული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია ჯგუფური ზარალის კომპონენტი. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შიდა საცალო კლიენტებს უკავშირდება. ჯგუფს არ აქვს კლიენტების არსებითი კონცენტრაცია.

გაუფასურების ზარალები

გაუფასურების ზარალის რეზერვები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის რისკ-ჯგუფების მიხედვით არის შემდეგი:

	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული
31 დეკემბერი 2023						
მოკლევადიანი	20,581	333	არა	14,241	-	არა
1-30 დღემდე	484	114		-	-	არა
ვადაგადაცილება			არა			
31-90 დღემდე	411	275	არა	-	-	არა
ვადაგადაცილება						
91-150 დღემდე	315	300		-	-	კი
ვადაგადაცილება			კი			
150 დღეზე მეტი						
ვადაგადაცილება	22,199	22,199	კი	2,580	2,579	კი
სულ	43,990	23,221		16,821	2,579	

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

31 დეკემბერი 2022	ჯგუფურად შეფასებული			ინდივიდუალურად შეფასებული		
	მთლიანი საბალანსო დირექტორები	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	მთლიანი საბალანსო დირექტორები	გაუფასურების ზარალის რეზერვი	საკრედიტო რისკით გაუფასურებული
მოკლევადიანი 1-30 დღემდე	19,362	144	არა	9,328	-	არა
ვადაგადაცილება 31-90 დღემდე	699	108	არა	-	-	არა
ვადაგადაცილება 91-150 დღემდე	402	260	არა	-	-	არა
ვადაგადაცილება 150 დღეზე მეტი	275	263	კი	-	-	კი
ვადაგადაცილება სულ	20,823	20,823	კი	2,683	2,683	კი
	41,561	21,598		12,011	2,683	

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2023	2022
1 იანვარს	(24,281)	(22,994)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(1,519)	(1,287)
წლის განმავლობაში უიმედოდ ჩამოწერილი ოდენობების აღდგენა	-	-
31 დეკემბერს	(25,800)	(24,281)

100%-იანი გაუფასურების განაკვეთი გამოყენებულ იქნა 150 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე საცალო მომხმარებლების მიმართ არსებულ მთლიან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. უფრო დაბალი გაუფასურების განაკვეთები, გამოიყენება იმ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რისკის კატეგორიებისთვის, რომლებიც ვადაგადაცილებულია უფრო მოკლე პერიოდით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის გამოიყენება სარეზერვო ანგარიში, ვიდრე ჯგუფი არ დარწმუნდება რომ ვერ მიიღებს მისდამი მართებულ თანხებს; ამ დროს თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში.

სასესხო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები უძრავი ქონებიდან

ჯგუფს, სასესხო მოთხოვნები, ისევე როგორც სხვა მოთხოვნები, ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელზე გავლენა აქვს მსესხებლების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ ყველა კონტრაქტის არის ან საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო ან მშობელი კომპანია და, აუცილებლობის შემთხვევაში, საბოლოო მშობელი კომპანია, "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ" -ი, გაუწევს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს ისეთ ფინანსურ დახმარებას, რომ მათ შეძლონ სესხების და ჯგუფის მიმართ არსებული სხვა მოთხოვნების დაფარვა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებულ ძირითად ამოსავალ მონაცემებს შემდეგი ცვლადების ვადიანობის სტრუქტურა წარმოადგენს:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები (EAD).

პირველი დონის დაქვემდებარებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვიანი „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლებით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და „დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები“-ის გადამრავლების გზით.

გაუფასურების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები, დაშვებები და მეთოდები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაახლოებით 0.2% და 39%, დარიცხულია სასესხო მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე, შესადარისი საკრედიტო პროფილის/რეიტინგის ან დაფარვის მოლოდინების მიხედვით (2022 წლის 31 დეკემბერი: 1% და 33%, შესაბამისად).

სასესხო მოთხოვნებისთვის დეფოლტის ალბათობა (12 თვიანი) შეფასდა როგორც 2.62%, ექსპერტის მიერ, ინდივიდუალური მიდგომით, სარეიტინგო სისტემის ქულებიანი კითხვარის საფუძველზე და წარმოადგენს "სილქ რიალ ისთეით"-ში შეფასებული კომპანიის რეიტინგს (Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით), კორექტირებული იგივე ჯგუფის მსესხებლების ინდივიდუალური რისკის მახასიათებლებით.

ჯგუფი "ზარალი დეფოლტის შემთხვევაში" პარამეტრებს აფასებს დეფოლტირებული კონტრაქტების მიმართ მოთხოვნების აღდგენის განაკვეთების ისტორიის მიხედვით, გირაოს საბაზრო ღირებულების და გირაოს რეალიზაციისთვის საჭირო დროის მიხედვით, შესაბამისობის შემთხვევაში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოითვლება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. წარმოებული ზარალი დეფოლტის შემთხვევაში, სხვადასხვა დაქვემდებარებებზე, 22%-სა და 39%-ს შორის მერყეობს (31 დეკემბერი 2022: 22%-დან 39%-მდე).

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები წარმოადგენს სავარაუდო დაქვემდებარებას დეფოლტის შემთხვევაში. დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები ფინანსური აქტივებისთვის არის მისი მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას. ჯგუფი ითვალისწინებს 5 სხვადასხვა ალბათობის შესაძლო სცენარს, ფინანსური ინსტრუმენტის აღდგენის ვადების სხვადასხვა ალბათობებით და უშვებს მაქსიმუმ 5%-დან 10%-მდე ალბათობას სცენარისთვის, რომელშიც ფინანსური ინსტრუმენტები საერთოდ არ არის აღდგენილი.

არსებითი დაქვემდებარებებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებისას, ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინების მიზნით, 7%-დან 14%-მდე ეფექტური საპროცენტო განაკვეთები იქნა გამოყენებული.

განსაზღვრა იმისა არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული დეფოლტის რისკის არსებითი ზრდის დასადგენად, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიუღებელი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე ექსპერტის საკრედიტო შეფასებას და საპროგნოზო ინფორმაციას. ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელსაც ჯგუფი იყენებს იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, არის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების საკრედიტო რისკის ზრდის კრიტერიუმი ("backstop" კრიტერიუმი). საკრედიტო რისკის ზრდის კრიტერიუმის სახით, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა ხდება არაუგვიანეს იმ დროისა, როდესაც აქტივი 60 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ჯგუფი საკრედიტო რისკის არსებითად ზრდის ინდიკატორად კომერციული ბანკებისთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის დაქვეითებას მიიჩნევს.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მთლიანი სასესხო მოთხოვნები ნაწილდება 1-ელ ეტაპზე (2022 წლის 31 დეკემბერი: მთლიანი სასესხო მოთხოვნების დაახლოებით 90% ნაწილდება 1-ელ ეტაპზე, დარჩენილი სასესხო მოთხოვნები განაწილებულია მე-2 ეტაპზე), რადგან არ მომხდარა ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის ზრდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დაახლოებით 40% განაწილებულია ეტაპი 3-ზე (2022 წლის 31 დეკემბერი: დაახლოებით 35%), რადგან ისინი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია. მსგავსი სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად დაკავშირებულია საიჯარო შემოსავლის მოთხოვნასთან იმ დაკავშირებული მხარის საწარმოების მიმართ, რომელთაც აქვთ ვადაგადაცილებული გადახდების და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ისტორია.

მგრძნობელობის ანალიზი

10%-იან ზრდას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთში, იმ დაშვებით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება, შეიძლება ჰქონდეს დაახლოებით 1.5 მილიონი ლარის და 1.7 მილიონი ლარის ოდენობით გავლენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2023 და 2022 წლებისთვის, შესაბამისად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთის 1%-იან ზრდას (იმ დაშვებით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება) შეიძლება ჰქონდეს დაახლოებით 0.2 მილიონი ლარის და 2.3 მილიონი ლარის ოდენობით გავლენა სასესხო მოთხოვნებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2023 და 2022 წლებისთვის, შესაბამისად.

გაუფასურების ზარალები სასესხო მოთხოვნებზე

მომრავლობა გაუფასურების რეზერვში სასესხო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2023	2022
ნაშთი 1 იანვარს	(2,503)	(2,707)
ზრდა წლის განმავლობაში	2,468	204
ნაშთი 31 დეკემბრის	(35)	(2,503)

გაუფასურების ზარალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე

მომრავლობა გაუფასურების რეზერვში საიჯარო შემოსავალთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2023	2022
ნაშთი 1 იანვარს	(5,607)	(6,053)
აღდგენა/ (ზრდა) წლის განმავლობაში	(250)	446
ნაშთი 31 დეკემბრის	(5,857)	(5,607)

საბანკო ნაშთები

საბანკო ნაშთები და ვადიანი ანაზრები ძირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში, მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით BB- და BB, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. ნაშთები განთავსებულია 1-ელ დონეზე და არ არის ვადაგადაცილებული. ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შემდგომში დაგეგმვას იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

როგორც წესი, ჯგუფი უზრუნველყოფს რომ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე, მისი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად 30-დღიანი პერიოდისთვის (ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების ჩათვლით); თუმცა აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, როგორიც არის ბუნებრივი კატასტროფები. ამასთანავე, ჯგუფის საბოლოო მშობელმა კომპანიამ, "Silk Road Group Holding (Malta) Limited"-მა, მისი მხარდაჭერის წერილის საშუალებით აჩვენა, რომ მას აქვს განზრახვა, უახლოეს მომავალში ჯგუფი უზრუნველყოს ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერით, რაც საშუალებას მისცემს ჯგუფს გააგრძელოს მისი საოპერაციო არსებობა.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ მისი ინვესტირების საქმიანობები იყოს დაფინანსებული სესხებისა და კრედიტების საშუალებით ან კაპიტალის შენატანებით, მანამ სანამ ჯგუფის შემოსავლები არ დასტაბილურდება.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენის გამოკლებით:

31 დეკემბერი 2023

ლარი	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები				
	საბალანსო დირებულება	სულ	1 წლის განმავლობაში	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	834,210	1,102,011	87,389	929,296	85,326
საიჯარო ვალდებულება	28,395	32,019	14,293	17,607	119
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	148,345	154,385	110,165	44,220	-
ფუტ-ოფციონის ვალდებულება	50,635	86,658	-	57,772	28,886
	1,061,585	1,375,073	211,847	1,048,895	114,331

31 დეკემბერი 2022	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები				
	საბალანსო დირებულება	სულ	1 წლის განმავლობაში	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები და კრედიტები	836,632	1,181,130	103,037	878,263	199,830
საიჯარო ვალდებულება	33,525	40,419	13,164	26,574	681
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123,836	128,106	97,388	30,718	-
ფუტ-ოფციონის ვალდებულება	85,741	125,482	44,324	40,599	40,559
	1,079,734	1,475,137	257,913	976,154	241,070

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამჟამად და უახლოეს მომავალში, ჯგუფს აქვს საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაფარად, მათი დაფარვის ვადის დადგომისთანავე. ხელმძღვანელობის შეფასება დაფუძნებულია ფაქტორებზე როგორიცაა არსებითი ფულადი სახსრების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (შენიშვნა 15), და მზარდი კლიენტთა ბაზა ძირითადი ბიზნეს სეგმენტებისთვის და ახალი ქსელის გაშლა. გარდა ამისა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს საკრედიტო ხაზები 300,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სს „თიბისი ბანკთან“ და 300,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სს „საქართველოს ბანკთან“ (გამოყენებული საკრედიტო ხაზების ჩათვლით, იხ. შენიშვნა 18), იმ შემთხვევაში, თუ მას დასჭირდება დამატებითი დაფინანსება მიმდინარე პროექტებისთვის. ამასთანავე, "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ"-მა გამოთქვა მისი მზაობა, უახლოეს მომავალში უზრუნველყოს ჯგუფი ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერით, როგორც ეს საჭირო იქნება, ჯგუფისთვის მისი საოპერაციო არსებობის გასაგრძელებლად.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს ჯგუფის შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში.

(v) სავალუტო რისკი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დამოკიდებულება სავალუტო რისკზე ძირითადად კაპიტალურ დანახარჯებს, აშშ დოლარში დენომინირებულ ევრობოლოგაციებს და სესხებს უკავშირდება. მისი სავალუტო რისკის ჰეჯირებისთვის ჯგუფი ასევე სვამს ხელშეკრულებებს იყენებს, 1 წელზე ნაკლები დაფარვის ვადით საანგარიშგებო თარიღიდან (2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ფლობს ვადიანი ანაბრების 105,595 ათასი ლარის ოდენობით ძირითად ოდენობას ადგილობრივ ვალუტაში (ლარი), დაფარვის ვადით 1 წელი ან ნაკლები და საშუალოდ 12%-იანი სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთით. აღნიშნული ანაბრები ჰეჯირებულია 40,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით სვამს ინსტრუმენტების საპირწონედ, იმგვარად, რომ კომპანია მოელის დაახლოებით 7%-ის ოდენობით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამომუშავებას სავალუტო ანაბარზე, სვამს ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გამოქვითვის შემდეგ).

აღნიშნული ინსტრუმენტები აკმაყოფილებს წარმოებული ინსტრუმენტის განმარტებას ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით და თავდაპირველად, სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ფასს 9-ის მიხედვით, წარმოებული ინსტრუმენტები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად ფლობილი და შემდგომ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა აღიარა 925 ათასი ლარის ოდენობით საბალანსო ღირებულების მქონე წარმოებული ვალდებულება (2022 წლის 31 დეკემბერი: ნული). დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი გამოიყენება წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, რომელიც სამართლიანი ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე კლასიფიცირდება. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობასთან დაკავშირებულ შეფასების განუსაზღვრელობებს არ აქვთ არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის რისკზე ნომინალური ოდენობების მიხედვით, იყო შემდეგი:

ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2022
საბანკო ნაშთები	32,999	37,228
აშშ-ს სახაზინო ობლიგაციები	-	18,845
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,363	5,017
სასესხო მოთხოვნები	5,798	209,077
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(65,591)	(67,474)
სესხები და კრედიტები (სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტის ჩათვლით)	(679,093)	(693,305)
ფუტ-ოფციონის ვალდებულება	-	(42,138)
წმინდა დაქვემდებარება	(698,524)	(532,750)

შპს "სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი"
2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

'000 ლარი	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2022
საბანკო ნაშთები	3,906	216
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,894	644
სესხები და კრედიტები	(79,208)	(52,171)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(24,324)	(16,611)
წმინდა დაქვემდებარება	(97,731)	(67,922)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
	2023	2022	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი	2.6279	2.9156	2.6894	2.7020
1 ევრო	2.8416	3.0792	2.9753	2.8844

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	გამყარება		შესუსტება	
	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)	კაპიტალი	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი 2023				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	-	69,852	-	(69,852)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	9,773	-	(9,773)
31 დეკემბერი 2022				
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	4,244	49,061	(4,244)	(49,061)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	-	6,792	-	(6,792)

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფის ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2023	2022
ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტები	-	-
ფინანსური აქტივები	-	-
ფინანსური ვალდებულებები	130,042	205,338
	130,042	205,338

ფულადი ნაკადების მგრძნობელობის ანალიზი ცვლადგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

100 საბაზისო პუნქტიანი გონივრული შესაძლო ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის 1,300 ათასი ლარის ოდენობით გავლენას იქონიებდა მოგებაზე ან ზარალზე (2022 წლის 31 დეკემბერი: 2,053 ათასი ლარი). ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, უცხოური ვალუტის კურსები, უცვლელი დარჩება.

22. პირობითი ვალდებულებები

(a) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლოს გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები ახასიათებს, რაც ხშირად გაურკვეველი, ურთიერთგამომრიცხავი და განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფის ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(b) სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

23. ვალდებულებები

(a) კაპიტალთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის მიერ გაწეული კაპიტალური ვალდებულებები 16,135 ათას ლარს შეადგენდა და ძირითადად, მობილური ქსელის განვითარების პროექტებსა და კლიენტებთან დაკავშირებული მოწყობილობების შეძენას უკავშირდებოდა (2022 წლის 31 დეკემბერი: 11,451 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად კლიენტებთან დაკავშირებული მოწყობილობების შეძენას უკავშირდებოდა).

(b) სხვა ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს ჰქონდა 22.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, საინვესტიციო ქონების მშენებლობის ვალდებულება საქართველოს მთავრობის მიმართ. წინამდებარე საინვესტიციო ვალდებულებებიდან, 15 მილიონი აშშ დოლარი ბოზოყვანის პროექტს უკავშირდება, რომელიც, წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, 2029 წელს უნდა დასრულდეს.

24. შვილობილი კომპანიები

საწარმო	ძირითადი საქმიანობა	დაარსების თარიღი	საკუთრების პროცენტულობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	საკუთრების პროცენტულობა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	საკუთრების სახეობა
შპს „სილქ რიალ ისთეით“	ჰოლდინგური საწარმო	7 აპრილი 2017 წელი	95%	95%	პირდაპირი
შპს „სილქნეტ ჰოლდინგი“	ჰოლდინგური საწარმო	3 დეკემბერი 2018 წელი	95%	95%	პირდაპირი
შპს „სილქ როუდ ენერჯი“	არა-აქტიური კომპანია	11 მაისი 2011 წელი	100%	100%	პირდაპირი
	ჰიდროელექტროსადგურების მართვა				
შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერი“	მართვა	15 იანვარი 2009 წელი	63.27%	63.27%	პირდაპირი
შპს „სილქ ენერჯი ჰოლდინგი“	არა-აქტიური კომპანია	28 დეკემბერი 2020 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „სილქ სოლარი“	არა-აქტიური კომპანია	4 ივლისი 2022 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „სილქ რიალ ისთეითის“ შვილობილი კომპანიები					
შპს "ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი"	თბილისი რედისონ ბლუ ივერია სასტუმროს მართვა	9 აგვისტო 2010 წელი	96%	96%	პირდაპირი
შპს „არგო მენეჯმენტი“	ბათუმი რედისონ ბლუ სასტუმროს მართვა	30 ნოემბერი 2010 წელი	96%	96%	არაპირდაპირი, შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“-ს საშუალებით
შპს „რივიერა ზიჩ“	კლუბის მართვა	18 მაისი 2012 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „სილქ როუდ სერვისი“	ჯგუფის კომპანიებისთვის შესყიდვების გაერთიანება	31 დეკემბერი 2015 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „დეველოპმენტ სოლუშენს“	უძრავი ქონების განვითარების მომსახურება	10 ივლისი 2006 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "დეველოპმენტ სოლუშენს მედეა"	არა-აქტიური კომპანია	7 სექტემბერი 2009 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს „დეველოპმენტ სოლუშენსის“ საშუალებით
შპს "წინანდლის სავანე"	ჰოლდინგური საწარმო	17 თებერვალი 2016 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "წინანდლის მამულები" (შენიშვნა 20)	სასტუმრო „წინანდალი რედისონ ქოლექშენის“ მართვა	27 ივნისი 2008 წელი	100%	67%	არაპირდაპირი, შპს „წინანდლის სავანეს“ საშუალებით
შპს "წინანდალი"	მუზეუმის მართვა	3 ოქტომბერი 2005 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "ქართული ღვინის ინსტიტუტი"	ღვინის დეგუსტაცია და ტრენინგის მომსახურება	26 დეკემბერი 2011 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს „წინანდალი“-ს საშუალებით
შპს "ესარჯი ინვესტმენტს"	ჯგუფისთვის კორპორატიული მომსახურების მიმწოდებელი	27 მაისი 2011 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „ლიმონი 2009“	კაზინოების მართვა	11 აგვისტო 2009 წელი	88%	88%	პირდაპირი
შპს "მედეა ოფერეითინგ კომპანი"	ბათუმი რედისონ ბლუ სასტუმროს და დაკავშირებული კაზინოს ფლობა	5 ნოემბერი 2010 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "ეფ ტელეკომი"	უძრავი ქონების განვითარება	2 ოქტომბერი 2006 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „რივიერა“	ჰოლდინგური საწარმო	12 ივლისი 2012 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "ბათუმი რივიერა"	უძრავი ქონების განვითარება	30 მაისი 2018 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს "რივიერა"-ს საშუალებით
შპს "ცენტრ პლაზა"	უძრავი ქონების განვითარება	14 ივლისი 2005 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "კლუბი სავანე"*****	დამის კლუბის მართვა	11 აპრილი 2018 წელი	100%	51%	არაპირდაპირი, შპს „ცენტრ პლაზას“ საშუალებით

საწარმო	ძირითადი საქმიანობა	დაარსების თარიღი	საკუთრების პროცენტულობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	საკუთრების პროცენტულობა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	საკუთრების სახეობა
შპს "წინანდლის ვილები"	უძრავი ქონების განვითარება თბილისი რედიონ ზღუ	19 თებერვალი 2016 წელი	100%	100%	პირდაპირი
სს "ახალი სასტუმრო"	სასტუმროს ფლობა	30 სექტემბერი 2005 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "სილქ როუდ ბიზნეს ცენტრი"	უძრავი ქონების განვითარება	27 აგვისტო 1997 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "მისაქციელი"	უძრავი ქონების განვითარება	7 აგვისტო 2008 წელი	100%	100%	პირდაპირი 2022 წლიდან
შპს "ახალი ოფისი"	უძრავი ქონების განვითარება	7 აგვისტო 2008 წელი	100%	100%	პირდაპირი 2022 წლიდან
შპს "ივერია ცენტრი"	უძრავი ქონების განვითარება	6 აგვისტო 2013 წელი	50%	50%	არაპირდაპირი, შპს "ახალი ოფისი"-ს საშუალებით
შპს "რესტორანი წინანდალი"	სტუმართმოყვარეობის სექტორი	2 აპრილი 2018 წელი	50%	50%	არაპირდაპირი, შპს „ივერია ცენტრის“ საშუალებით
სს "სასტუმრო მედეა+"	უძრავი ქონების განვითარება	17 აპრილი 2007 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "აჭარა ინვესტმენტს"	ჰოლდინგური საწარმო	30 აგვისტო 2017 წელი	100%	100%	პირდაპირი
სს "აჭარის კურორტები"	უძრავი ქონების განვითარება	3 იანვარი 2006 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს "აჭარა ინვესტმენტს"-ის საშუალებით
შპს "აჭარა რიალ ისთეით"	უძრავი ქონების განვითარება	23 აგვისტო 2006 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს "აჭარა ინვესტმენტს"-ის საშუალებით
შპს "ბოზოყვათი"	უძრავი ქონების განვითარება	23 მარტი 2007 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს აჭარა რიალ ისტეითის" და სს "აჭარის კურორტების" საშუალებით
შპს "ქობულეთის კურორტები"	უძრავი ქონების განვითარება	17 აპრილი 2007 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, სს "აჭარის კურორტების" საშუალებით
შპს "სილქ როუდ გრუპ თრეველი"	სტუმართმოყვარეობის სექტორი	4 სექტემბერი 2009 წელი	51%	51%	პირდაპირი
სს "სასტუმრო ტელეგრაფი"	სტუმართმოყვარეობის სექტორი	5 თებერვალი 2020 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს "სილქ როუდ ბიზნეს ცენტრი"-ს საშუალებით
შპს "ლიმონი რიალ ისთეითი"	უძრავი ქონების განვითარება	21 აპრილი 2017 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "Green-cape Botanico"	უძრავი ქონების განვითარება ჯგუფისთვის სასტუმროების მართვის მომსახურების	18 აგვისტო 2020 წელი	51%	51%	ერთობლივი საწარმო
შპს „სილქ ჰოსფიტალიტი“	მიმწოდებელი	26 მარტი 2021 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს "წინანდლის კურორტი"	"პარკ ჰოტელ წინანდალის" მართვა	1 მარტი 2018 წელი	51%	51%	პირდაპირი
შპს „უნიფარმი“ *****	უძრავი ქონების განვითარება	10 ივლისი 1996 წელი	50%	-	არაპირდაპირი, შპს „ცენტრ პლასას“ საშუალებით
შპს „სილქნეტ ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანიები					
სს "სილქნეტი"	სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა	2 აპრილი 2009 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „ქარვა“	პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მომსახურება	29 ივნისი 2012 წელი	51%	51%	არაპირდაპირი, სს „სილქნეტის“ საშუალებით
შპს "სილქ მედია"	ევრონიუსის არხის მართვა	18 ივლისი 2019 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, სს „სილქნეტის“ საშუალებით
შპს „ნოვუსი“	არა-აქტიური საწარმო	5 აპრილი 2012 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, სს „სილქნეტის“ საშუალებით

საწარმო	ძირითადი საქმიანობა	დაარსების თარიღი	საკუთრების პროცენტულობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	საკუთრების პროცენტულობა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	საკუთრების სახეობა
შპს WiMax Georgia ***	არა-აქტიური საწარმო	15 მაისი 2008 წელი	-	100%	არაპირდაპირი, სს „სილქნეტის“ საშუალებით
NG Georgia N(N)LE დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი	მედია („National Geographic“)	5 აპრილი 2012 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, სს „სილქნეტის“ საშუალებით
	არაკომერციული ორგანიზაცია ინტერნეტ ვიდეო მომსახურების მიწოდება	9 ივლისი 2018 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, სს „სილქნეტის“ საშუალებით
შპს „Premium Web Solution“ **** შპს „სილქ როუდ ენერჯის“ შვილობილი კომპანიები		29 ნოემბერი 2015 წელი	100%	-	არაპირდაპირი, სს „სილქნეტის“ საშუალებით
შპს "მაჭახელა ჰესი"	არა-აქტიური კომპანია	11 აპრილი 2012 წელი	100%	100%	პირდაპირი
შპს „ლოპოტა ენერჯი“	არა-აქტიური კომპანია	27 თებერვალი 2012 წელი	100%	100%	არაპირდაპირი, შპს „მაჭახელა ჰესის“ საშუალებით

* სს "სილქნეტი" შეფასდა ორი სარეიტინგო სააგენტოს მიერ გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგით 'B+' და 'B1', სტაბილური სამომავლო პერსპექტივით, „Fitch“-ის და „Moody’s“-ის მიერ, შესაბამისად. 2018 წელს, სს "სილქნეტმა" შეიძინა საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის, შპს "ჯეოსელის" ("ჯეოსელი") 100%-იანი წილი და შემდგომ მასთან გაერთიანდა. სს სილქნეტი არის ორი არაკომერციული ორგანიზაციის დამფუძნებელი: "NG Georgia" და "დაჭრილ მებრძოლთა თანადგომის ფონდი".

**2019 წელს, სილქნეტმა და Euronews-მა „Euronews Georgia“-სთან დაკავშირებით (უფასო ახალი ამბების არხი რომელიც იქნება ქართულ ენაზე) ურთიერთგაგების მემორანდუმი დადეს. ამ მიზნისთვის, სილქნეტმა შპს „სილქ მედია“ დაარსა (100%-იან საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია). Euronews-ი პასუხისმგებელი იქნება „Euronews Georgia“-ს საგამომცემლო პოლიტიკაზე და არხის ახალი ამბების დირექტორს დანიშნავს. Euronews-ი მის მასალებს „Euronews Georgia“-ს გაუზიარებს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ადგილობრივ მასალას მოამზადებს რომელსაც ის Euronews-ს გაუზიარებს.

*** 2023 წელს, შპს „WiMax Georgia“ იქნა ლიკვიდირებული.

**** 2023 წლის 11 აპრილს, სს „სილქნეტმა“ 2 მილიონი ლარის სანაცვლოდ შეიძინა ვებ პლატფორმა www.myvideo.ge-ს ოპერატორის, შპს „Premium Web Solution“-ის 100%-იანი წილი.

***** 2023 წლის განმავლობაში, ჯგუფმა 1,857 ათას ლარად შეიძინა შპს „კლუბი სავანეს“ 49% არამაკონტროლებელი აქციონერისგან, რაც სრულად იყო დაფარული ნაღდი ფულით. შედეგად, 787 ათასი ლარის ღირებულების არამაკონტროლებელი წილის აღიარება შეწყდა და სხვაობა გადახდილ ანაზღაურებასა და არამაკონტროლებელ წილს შორის პირდაპირ კაპიტალში აღირიცხა.

***** 2023 წლის 29 დეკემბერს, ჯგუფმა 239 ათასი აშშ დოლარის ოდენობით ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ შპს „უნიფარმის“ 50 %-ი შეიძინა, რაც აღიარდა, როგორც „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

25. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა „Comodon Holding (Malta) Limited.“

კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია არის „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი“. 2020 წელს, კომპანიის შუალედური მშობელი კომპანიის რეორგანიზაცია მოხდა, რის შედეგადაც კომპანიას ახალი ბენეფიციარი აქციონერი ჰყავს, იერკინ ტატიშევი, არაპირდაპირი უმცირესობის წილით (38.2%) კომპანიაში. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია რჩება „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედი“ - ფიზიკური პირის, გიორგი რამიშვილის მიერ კონტროლირებული საწარმო. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია ან ნებისმიერი სხვა შუალედური მშობელი კომპანია არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების კატეგორიაში:

ლარი	2023	2022
ხელფასები და ბონუსები	20,590	19,563
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	17,318	-
	37,908	19,563

* 2023 წლის 30 სექტემბერს და 2023 წლის 14 დეკემბერს („გრანტის თარიღი“) ჯგუფმა გააფორმა ორი ხელშეკრულება მისი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ორ წევრთან, რაც უფლებას აძლევს დასაქმებულებს მიიღონ სხვადასხვა ტიპის ჯილდოები, რაც ძირითადად დამოკიდებულია დასაქმებულის არჩევანზე, მაგრამ ასევე გარკვეულ გარემოებებსა და პირობებს ექვემდებარება. ჯილდო N1: გულისხმობს ჯგუფის კაპიტალის ინსტრუმენტს ფულადი სახსრების ანგარიშსწორებით, რომელიც გადაეცემა დასაქმებულს, მომსახურების პირობის გარეშე და მისი სამართლიანი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ნულს არის მიახლოებული, რადგან ხელშეკრულების მიხედვით „უფლების გადაცემის პირობის“ დაკმაყოფილების ალბათობა არის მცირე. ჯილდო N2 რომელიც დასაქმებულს ეკუთვნის 2025 წლის 1 იანვრიდან, გამოითვლება როგორც დასაქმებულის ცხოვრების მანძილზე ჯგუფის მიერ მომავალი დივიდენდის განაწილებების გარკვეული პროცენტი და არ ექვემდებარება მომსახურების პირობას. ჯილდო N3 გულისხმობს დასაქმებულისთვის 2027 წლის შემდეგ ჯგუფის მომავალი ღირებულების გარკვეული პროცენტის ფულადი სახსრებით გადაცემას (რომელიც გამოითვლება სახელშეკრულებო პირობების მიხედვით) და ექვემდებარება მომსახურების პირობას 2027 წლის ბოლომდე. ორივე ჯილდო აკმაყოფილებს დასაქმებულის სხვა გრძელვადიანი გასამრჯელოს განმარტებას ბასს 19-ის მიხედვით „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები“ და თავდაპირველად ფასდება დასაქმებულის მიერ მომავალში მისაღები გასამრჯელოების მიმდინარე ღირებულებით. ჯილდო N2 ხარჯად აღიარდება მისი გაწვევითანავე, რადგან არ აქვს მომსახურების პირობა, ხოლო ჯილდო N3 -ის ღირებულება ნაწილდება მომსახურების პერიოდზე, თუ ჯამში ის აღემატება ჯილდო N2 -ის ოდენობას. 2023 წელს, ჯგუფმა აღიარა 17,318 ათასი ლარის ოდენობით ხარჯი მოგებაში ან ზარალში რომელიც გამოითვლება ჯილდო N2-ის პირობების მიხედვით, რადგან იგი წარმოადგენს უპირობო ვალდებულებას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და მისი სავარაუდო ღირებულება არის ყველაზე დიდი სამ ხელმისაწვდომ ჯილდოს შორის. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დასაქმებულთა გასამრჯელოები კლასიფიცირდება გრძელვადიანი ვალდებულების სახით, რადგან მათი დაფარვის ვადა 2025 წლის 1 იანვრის შემდეგ დგება.

ჯილდო N2 გამოთვლილ იქნა იმ დაშვების მიხედვით, რომ ჯგუფი წარმატებით მოახდენს მისი ევროზონიზაციების რეფინანსირებას 2027 წელს, და აქვს განზრახვა, თავისუფალი ფულადი ნაკადები და უნარი, როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ასევე ობლიგაციების კოვენანტის მიხედვით, გადაიხადოს მისი გასანაწილებელი რეზერვების 50% ყოველ წელს, გრანტის თარიღიდან. დივიდენდებიდან მიღებული მომავალი ფულადი ნაკადები შეფასდა კომპანიის დაახლოებით 3-5%-იანი წლიური და ტერმინალური ზრდის განაკვეთით და დისკონტირებულ იქნა 16%-იანი დისკონტირების განაკვეთით (ლარში).

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან და ოპერაციები მესაკუთრეებთან, რომლებიც არ მოქმედებენ მესაკუთრეების უფლებამოსილების ფარგლებში, წარმოდგენილია ქვემოთ.

	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი	
	2023	2022	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გაცემული სესხები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	(7,340)	(7,141)	28,523	231,652
სესხები და კრედიტები:				
საბოლოო მშობელი კომპანია	-	-	-	12,532
მშობელი კომპანია	-	-	3,868	30,324
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	30,429	-	38,645	19,221
ძირითადი საშუალებების შეძენა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	15	-	-	-
მშობელი კომპანია და ბენეფიციარები	918	-	-	-
სხვა შემოსავალი:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	2,089	1,023	1,310	1,684
გამოყენებული საწვავი და საპოხი მასალები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	(2,917)	(3,699)	(260)	(247)
სხვა საოპერაციო ხარჯები:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	(3,776)	(4,779)	(1,322)	(2,375)

გარიგების ღირებულებები ასახავს თავდაპირველ გარიგებებს და არ ითვალისწინებს გარიგებების დაკმაყოფილებას. ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან, გარდა სესხები და კრედიტებისა და სასესხო მოთხოვნებისა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. არცერთი დაკავშირებული მხარის ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

პირდაპირ კაპიტალში აღიარებულ სესხებსა და კრედიტებზე და სასესხო მოთხოვნებზე წარმოებულ „დაკავშირებული მხარის ოპერაციებზე“ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნები 13 და 18.

2022 წელს, ჯგუფმა პირდაპირ კაპიტალში აღიარა 32,435 ათასი ლარის ოდენობით დაკავშირებული მხარის სესხების პატიება, იხილეთ შენიშვნა 13.

2023 წლის განმავლობაში, 4,711 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2022: 3,519 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში დაკავშირებული მხარეებისგან აღებულ სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში. დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები და დაფარვის ვადები წარმოდგენილია შენიშვნაში 18(a).

2023 წლის განმავლობაში, 9,126 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2022: 19,684 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში დაკავშირებული მხარეებისგან აღებულ სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში.

26. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა:

- შვილობილი კომპანიების წმინდა იდენტიფიცირებადი აქტივებისა, რომლებიც არ არის შეძენილი საერთო კონტროლის გარიგებების საშუალებით და რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისთვის;
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით.

27. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის საწარმოების მიერ.

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის თარიღისთვის, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კონტროლი გადაეცემა ჯგუფს, შესყიდვის მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი აფასებს გუდვილს შესყიდვის თარიღისთვის შემდეგნაირად:

- გადაცემული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება; დამატებული
- შეძენილ საწარმოში ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილების აღიარებული ოდენობა; დამატებული
- თუ საწარმოთა გაერთიანება მიიღწევა ეტაპობრივად, შეძენილ საწარმოში ადრე არსებული კაპიტალის წილის სამართლიანი ღირებულება; გამოკლებული
- შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული ოდენობა (როგორც წესი, სამართლიანი ღირებულება).

როდესაც ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული ამონაგები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადაცემული ანაზღაურება არ მოიცავს ადრე არსებული ურთიერთობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ ოდენობებს. მსგავსი ოდენობები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გარიგების ხარჯები, სესხის გამოშვებასთან და კაპიტალის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ხარჯების გარდა, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით - აღიარდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურების ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ პირობითი ანაზღაურება კლასიფიცირდება კაპიტალის სახით, მისი გადაფასება არ ხდება და ანგარიშსწორება აღირიცხება კაპიტალის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში, პირობითი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) არამაკონტროლებელი წილები

არამაკონტროლებელი წილები ფასდება შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების წილის პროპორციულად, შესყიდვის თარიღისთვის. შვილობილ კომპანიაში ჯგუფის წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება კაპიტალის ოპერაციების სახით.

(iii) ფუთ-ოფციონების მფლობელი არამაკონტროლებელი აქციონერები

ჯგუფი აღიარებს ვალდებულებას ოფციონის აღსრულების ფასის მიმდინარე ღირებულებისთვის, როდესაც ჯგუფი უშვებს ფუთ ოფციონს არამაკონტროლებელ აქციონერებზე.

ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ-შესყიდვის მეთოდს, როდესაც ჯგუფი უშვებს ფუთ ოფციონს არამაკონტროლებელ აქციონერებზე, რის შედეგადაც არამაკონტროლებელ აქციონერებს აღარ აქვთ მიმდინარე წვდომა შესაბამის საკუთრების წილთან დაკავშირებულ ამონაგებზე.

მოსალოდნელი-შესყიდვის მეთოდის ფარგლებში, ხელშეკრულება აღირიცხება იმგვარად თითქოს ფუთ-ოფციონი უკვე აღსრულებულია არამაკონტროლებელი აქციონერების მიერ და ფინანსური ვალდებულების აღიარებისას იმ არამაკონტროლებელი აქციონერების წილების აღიარება წყდება, რომლებიც გამოშვებულ ფუთ ოფციონებს ფლობენ.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ჯგუფი პირდაპირ კაპიტალში აღიარებს ცვლილებებს ფუთ ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში.

(iv) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. გარდა საერთო კონტროლის გარიგებებისა (იხილეთ ქვემოთ), შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილზე მიკუთვნებადი ზარალი, მიკუთვნებულია არამაკონტროლებელ წილებზე მიუხედავად იმისა, იწვევს ეს თუ არა არამაკონტროლებელი წილის უარყოფით (დეფიციტურ) ნაშთს.

(v) საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოების შესყიდვა/გადაცემა

საწარმოთა გაერთიანება, რომელიც დგება საწარმოებში წილების გადაცემიდან, რომელიც იმ აქციონერის კონტროლს ექვემდებარება, რომელიც აკონტროლებს ჯგუფს, აღირიცხება სააღრიცხვო საფუძველზე ("ნაშთის გადატანის საფუძველი"), იმგვარად, თითქოს შესყიდვას ყველაზე ადრეული წარმოდგენილი შესაძარისი პერიოდის დასაწყისში ჰქონდა ადგილი.

შემენილი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც ადრე აღიარებული იყო შემენილი საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შემენილი საწარმოების კაპიტალის კომპონენტები, გარდა სააქციო და საწესდებო კაპიტალებისა, დამატებულია იგივე კომპონენტებზე ჯგუფის ფარგლებში.

სხვაობა ანაზღაურებასა (გადახდილი ფულადი სახსრების სახით ან სააქციო კაპიტალში შენატანების საშუალებით) და შემენილი საწარმოს საწესდებო კაპიტალს შორის აღრიცხულია გაუნაწილებელი მოგების ნაწილის სახით.

(vi) კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(b) შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. როდესაც შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია, ჯგუფი აღიარებს შემოსავლად გარიგების ღირებულების თანხას, რომელიც გამორიცხავს მესამე მხარეების სახელზე შეგროვებულ თანხებს და ცვალებადი ხასიათის მქონე თანხების შეზღუდულ შეფასებებს, რომელიც განაწილებულია შესაბამის შესასრულებელ ვალდებულებაზე.

ჯგუფს აქვს შემდეგი ძირითადი შემოსავლის წყაროები: შემოსავალი სატელეკომუნიკაციო მომსახურებიდან, შემოსავალი კაზინოს თამაშებიდან და შემოსავალი სასტუმროების საქმიანობიდან.

(i) შემოსავალი სატელეკომუნიკაციო მომსახურებიდან

მობილური ზარის განხორციელების მომსახურება: შემოსავალი აღიარდება აბონენტების მიერ მობილურ სატელეფონო ზარებზე ფაქტობრივად გამოყენებული წუთების მიხედვით. წინასწარგადახდით აბონენტებისგან განსხვავებით, გამოყენებული წუთები არ არის აღიარებული შემოსავალში, სანამ შესაბამისი მომსახურება არ იქნება გაწეული აბონენტზე, ან წინასწარგადახდილ აბონიმენტს ვადა არ გაუვა.

ფიქსირებული ქსელი და pay TV: შემოსავალი ფიქსირებული ქსელისა და pay TV მომსახურებიდან ძირითადად შედგება ყოველთვიური ფიქსირებული დარიცხვისგან ინტერნეტ კავშირის და pay TV მომსახურების გამოყენებისთვის და აღიარდება მომსახურების გაწევასთან ერთად.

მობილური ინტერნეტის მომსახურება: შემოსავალი თითოეული მონაცემთა მომსახურების აბონენტისგან. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

ფიქსირებული ხაზი და უკაბელო სატელეფონო მომსახურებები: წუთობრივი მომსახურების და დაკავშირების ღირებულება შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის დროს, გამოყენებული წუთებისა და ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურების საფუძველზე. ყოველი თვის ბოლოს აბონენტათვის დაურიცხავი, მაგრამ უკვე გაწეული მომსახურება აღიარდება შემოსავლად, ხოლო დარიცხული მაგრამ გაუწეველი მომსახურების შემოსავალი დროში გადავადდება. ყოველთვიური სააბონენტო საფასური შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის თვეში.

ურთიერთჩართვის მომსახურებები: ქსელთან დაშვებით მიღებული ურთიერთჩართვის შემოსავლები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ოპერატორების მიერ ჯგუფის ქსელში დასრულებული ტრაფიკიდან მიიღება და რეგულირდება ხელშეკრულებებით, რომლებიც ასევე არეგულირებს ჯგუფის მიერ სხვა ოპერატორების ქსელით სარგებლობას. ურთიერთჩართვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომსახურების გაწევის დროს.

ინფრასტრუქტურის იჯარა IRU ხელშეკრულებებიდან: ინფრასტრუქტურის იჯარიდან შემოსავლები მოიცავს ჯგუფის საკაბელო ქსელის გამოყენებისთვის დარიცხულ ყოველთვიურ ფიქსირებულ საფასურს. ამგვარი შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

როუმინგიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი სხვა ოპერატორებისგან, არა-სილქნეტის აბონენტებისთვის, რომლებიც იყენებენ სილქნეტის ხმოვან, SMS და ინტერნეტ მომსახურებას. კომპანია აღიარებს ესეთ შემოსავლებს მომსახურების გაწევისთანავე.

ტელეფონის და აქსესუარების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი: შემოსავალი აღიარდება როდესაც ტექნიკა გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს.

სხვა შემოსავლები: შემოსავლის აღიარების პოლიტიკა სხვა შემოსავლებისთვის (SMS, MMS და სხვა დამატებითი ღირებულების მომსახურებები) მდგომარეობს შემოსავლის მომსახურების გაწევისთანავე აღიარებაში.

მნიშვნელოვანი გადახდის პირობები: ყველა, მომსახურების გაწევის შემდგომ გადახდებისთვის, აბონენტები ყოველთვიურად იხდიან თანხებს.

(ii) შემოსავალი კაზინოს თამაშებიდან

ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს შემდეგ კაზინოს თამაშებს: სამაგიდე თამაშები, სლოტ აპარატები ("ფსონების და თამაშების საქმიანობები"). ჯგუფის ფსონებისა და თამაშების საქმიანობები კლასიფიცირდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით ფასს 9-ის ფარგლებში, რადგან შემოსავალი ტოტალიზატორის თამაშებიდან წარმოადგენს წმინდა მოგებებს („customer drop“), ფსონების ოდენობას გამოკლებული კლიენტების მოგებები და წარმოდგენილია პერიოდის განმავლობაში გაწეული მომხმარებლების წახალისებების და ბონუსების გამოკლებით. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორც დახურულ პოზიციებზე რეალიზებული შემოსულობა და ზარალი.

(iii) შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან - სასტუმროს ოთახების ყოველდღიური გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი (წინასწარ განსაზღვრული ანაზღაურების სანაცვლოდ). შემოსავალი ოთახების გაქირავებიდან აღიარდება სტუმრების მიერ სასტუმროში გატარებული ღამეების მიხედვით. შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის დასრულების ეტაპი ფასდება სასტუმროში გატარებული ღამეების მიხედვით.

შემოსავალი საკვებისა და სასმელის გაყიდვიდან - რესტორნებისა და ბარების საშუალებით საკვებისა და სასმელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში როდესაც მომხმარებელი ჩაიბარებს საქონელს. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც ის გადასცემს კონტროლს დროის გარკვეულ მომენტში - საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, და გარკვეული დროის განმავლობაში - მომსახურების გაწევის შემთხვევაში, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული. შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ანაზღაურების მიხედვით, კლიენტებზე დარიცხული დღგ-ს გამოკლებით.

სხვა შემოსავალი - დამატებითი მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავალი, როგორც არის სპა პროცედურები, მასაჟი და სხვა მომსახურება. შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევასთან ერთად. ასაღიარებელი შემოსავლის ოდენობის განსაზღვრისთვის დასრულების ეტაპი ფასდება დასრულებული სამუშაოების მიხედვით, თუმცა მომსახურება დროის არა-არსებითად მოკლე პერიოდში არის გაწეული.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.
- სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების გაანგარიშებისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველბა მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან წარმოებას, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია „ჯგუფის“ სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, გადაყვანილია ოპერაციის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება აგრეთვე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან. 2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო ინსტიტუტებისთვის მოქმედი კორპორაციული გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(f) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და დაუმთავრებელი წარმოების შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი სამუშაო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(g) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით. შეძენილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებების მიმდინარე ღირებულებას თუ გადახდები 12-თვიან პერიოდზე მეტი ვადით არის გადავადებული.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება იჯარის ვადასა და მათ მომსახურების ვადას შორის უმცირესით, გარდა შემთხვევებისა, როდესაც გონივრულად მოსალოდნელია, რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის მიიღებს საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

– შენობები და ინფრასტრუქტურები	20-50 წელი;
– მანქანა-დანადგარები	3-20 წელი;
– სათამაშო მაგიდები და სლოტ აპარატები	8-10 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი და მოწყობილობები	3-10 წელი;
– სხვა	2-12 წელი;

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(iv) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

კვალიფიციური აქტივის შეძენაზე, მშენებლობასა ან წარმოებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით კაპიტალიზდება შესაბამის განსაკუთრებულ აქტივზე.

(h) არამატერიალური აქტივები

(i) გუდვილი

შვილობილი კომპანიების შეძენიდან წარმოქმნილი გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

(ii) სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასრული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს სატელეკომუნიკაციო საოპერაციო ლიცენზიებს, კაზინოს ნებართვას, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს, კაპიტალიზებულ სამაუწყებლო უფლებებს, პროგრამულ უზრუნველყოფას სლოტ აპარატებისთვის, ლიცენზიებისთვის და სხვა. სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულება კაპიტალიზებულია თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- სავარაუდოა, რომ მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც აქტივზე არის მიკუთვნებადი, საწარმოში შემოედინება;
- აქტივის თვითღირებულება სანდოდ შეიძლება შეფასდეს.

ჯგუფი ითვალისწინებს ხელშეკრულების სხვა პირობებსაც როგორც არის შეწყვეტის პირობები. კაპიტალიზებული სამაუწყებლო უფლებების ხელშეკრულებები დისკონტირებულია ზღვრული სასესხო განაკვეთის საფუძველზე.

(iii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთვებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის კომპანიის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

(iv) ამორტიზაცია

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების (გარდა გუდვილისა) მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება, რადგან ამგვარად შესაძლოა ყველაზე მიახლოებულად აისახოს აქტივში განივთვებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელი ფორმა. მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის, არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა 1-დან 10 წლამდე მერყეობს.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(i) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის, კაპიტალის ზრდის ან ორივეს მისაღებად, და არა საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში გაყიდვის განხორციელების, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის და მომსახურებების მიწოდების, ან სხვა ადმინისტრაციული მიზნით.

(i) აღიარება და შეფასება

საინვესტიციო ქონება ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას.

თუ საინვესტიციო ქონების ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება საინვესტიციო ქონების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსულობასა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

საინვესტიციო ქონების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ სავარაუდოა, რომ იგი უზრუნველყოფს კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება. ფასდება ინდივიდუალური აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტები და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, საინვესტიციო ქონების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის შენობების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაა 50 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

(j) ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს შემდეგ კატეგორიებში აკლასიფიცირებს: ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები, სესხები და მოთხოვნები და გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები.

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და კრედიტებს, გადასახდელ დივიდენდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი თავდაპირველად სესხებს და მოთხოვნებს აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვალდებულებების მხარე.

(ii) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და ჰეჯირების აღრიცხვა

უცხოურ სავალუტო რისკზე დაქვემდებარების ჰეჯირებისთვის ჯგუფი წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ფლობს. ხელშეკრულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები განცალკევდება ძირითადი ხელშეკრულებიდან და აღირიცხება ცალკე თუ ძირითადი ხელშეკრულება არ წარმოადგენს ფინანსურ აქტივს და კონკრეტული კრიტერიუმები არის დაკმაყოფილებული.

წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, წარმოებული ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და მასში მომხდარი ცვლილებები როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ ჯგუფი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ინვესტიცია სავალო ინსტრუმენტებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები - ბიზნეს მოდელის შეფასება:

ჯგუფი აფასებს იმ ბიზნეს მოდელის მიზანს, რომლის ფარგლებშიც არის ფლობილი ფინანსური აქტივი პორტფელის დონეზე, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს ბიზნესის მართვის გზებს და ინფორმაცია მიწოდებულია ხელმძღვანელობისთვის.

ფინანსური აქტივები - შეფასება იმისა წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს:

ამ შეფასების მიზნებისთვის, "ძირითადი თანხა" განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება მისი თავდაპირველი აღიარებისას. "პროცენტი" განისაზღვრება როგორც ანაზღაურება ფულის დროითი ღირებულებისა და კონკრეტული დროის პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითადთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისთვის და სხვა ძირითადი სასესხო რისკებისთვის და ხარჯებისთვის (ანუ ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოიცავს მოგების მარჟას.

იმის შეფასებისას წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ჯგუფი ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს ითვალისწინებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელიც შეცვლიდა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას და ვადებს, იმგვარად რომ ის აღარ დააკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობას. აღნიშნული შეფასების დროს, ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი მოვლენები, რომლებიც ფულადი ნაკადების ოდენობას ან ვადებს შეცვლიდნენ;
- პირობები, რომლებმაც შეიძლება კუპონის სახელშეკრულებო განაკვეთი შეცვალონ, მათ შორის ცვლადი განაკვეთის ფუნქციები;
- გადახდილი ავანსის და გახანგრძლივების პირობები; და
- პირობები, რომლებიც ზღუდავს ჯგუფის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (ანუ ფუნქციები რეგრესის უფლების გარეშე).

გადახდილი ავანსის ფუნქცია შეესაბამება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის კრიტერიუმს, თუ წინასწარ გადახდილი თანხის ოდენობა, ძირითადად, წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადზე დარიცხული პროცენტის დაუფარავ ოდენობებს, რაც შეიძლება მოიცავდეს გონივრულ დამატებით ანაზღაურებას ადრეული შეწყვეტისთვის.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება, ამორტიზებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები მოდიფიცირებულია, ჯგუფმა უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა მოდიფიცირებული აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი მოდიფიცირება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

ჯგუფი ახორციელებს მოცემული მოდიფიცირების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოდიფიცირებული ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;

თუ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული, მოდიფიცირებული აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ მოდიფიცირების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზებული მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მოდიფიცირებულია მისი პირობები და არსებითად განსხვავდება მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ მოდიფიცირებულპირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ მოდიფიცირება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას, ჯგუფი აღიარებს ესეთი მოდიფიცირებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, მოდიფიცირების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, ანუ ბანკების მიერ, ეროვნული ბანკის მხრიდან საკვანძო განაკვეთებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წამოწყებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის უფლებას და ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, რომ ან მიიღოს გადახდილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი ნომინალური ღირებულებით, ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კორექტირებულია პერსპექტიულად.

ჯგუფი აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. ჯგუფი ასკვნის, რომ მოდიფიცირება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების ვალუტის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის პირობის დამატება;
- ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციის ცვლილება.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები, თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება მიჩნეულია ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის დაფარვიდან მიღებულ ამონაგებსა ან ზარალში. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება არ არის მიჩნეული ვალის დაფარვად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზებულია მოდიფიცირებული ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც ჯგუფი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და ჯგუფი არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

ჯგუფი დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. ჯგუფი ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები მოდიფიცირებულია და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(k) კაპიტალი

კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

(l) ფინანსური გარანტიები

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც ჯგუფს მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელსაც ის გასწევს რადგან კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრულ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას (გამოკლებული, შესაბამისობის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპების მიხედვით აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობა) შორის უდიდესით.

(m) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

ჯგუფი აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად (ან უფრო მოკლე პერიოდში თუ ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასიცოცხლო ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირდება ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფი აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ჯგუფის მიერ სესხის ან წინასწარ გადახდილი თანხების რესტრუქტურისაცა იმ პირობებით, რომლებსაც ჯგუფი სხვა შემთხვევებში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც ჯგუფს აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია, ჯგუფი იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის, ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. ჯგუფი აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას ჯგუფის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ii) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების და გადავადებული საგადასახადო აქტივების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდიანებისგან. ჯგუფის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდიანებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება. ბიზნეს შერწყმის შედეგად შეძენილი გუდვილი ნაწილდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე რომლებიც მოსალოდნელია რომ მიიღებენ სარგებელს შერწყმის სინერგიებიდან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ნებისმიერ მინიშნებაზე იმისა, რომ ზარალი შემცირდა ან აღარ არსებობს. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით), რაც იქნებოდა განსაზღვრული გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(n) იჯარები

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და შემდგომ, თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირებული საიჯარო ვალდებულებების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება მომავალი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით (გადასვლის თარიღისთვის), რომელიც დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ის გადაფასებულია როდესაც არსებობს ცვლილება სამომავლო საიჯარო გადახდებში, რომელიც წარმოიშვა შემდეგის ცვლილების შედეგად: ინდექსის ან განაკვეთის ცვლილება, ცვლილება შეფასებაში იმ ოდენობისა, რომელიც მოსალოდნელია, რომ იქნება გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიის ფარგლებში, ან შესაბამისობის შემთხვევაში, ცვლილებები შეფასებაში იმისა გონივრულად მოსალოდნელია თუ არა, რომ შესყიდვის ან გახანგრძლივების შესაძლებლობა იქნება გამოყენებული, ან გონივრულად მოსალოდნელია რომ შეწყვეტის შესაძლებლობა არ იქნება გამოყენებული.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

(o) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმების ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

28. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

- ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანის ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები).
- მომწოდებელთა საფინანსო გარიგებები (ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები).
- საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ფასს 16-ის შესწორებები);
- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები)
- აქტივების გაყიდვა ან შენატანი ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის (ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები).

29. შემდგომი მოვლენები

(a) სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში

2023 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები აზარტული თამაშების რეგულაციებში, რაც ოფლაინ სათამაშო ბიზნესში ახალი გადასახადების შემოღებას ითვალისწინებდა. საგადასახადო ცვლილებები ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან შევიდა. დაბეგვრასთან დაკავშირებით შემდეგ ცვლილებები შევა ძალაში:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 15%-იანი გადასახადი სლოტ აპარატებიდან მიღებულ შემოსავალზე.
- 5%-იანი გადასახადი მოთამაშების მიერ სლოტ აპარატებიდან გატანილ თანხებზე.

ხელშეწყობის შეფასებით, თუ კომპანიის ფინანსური შედეგები იქნება იგივე, რაც 2023 წელს, ზემოაღნიშნული რეგულაციების გავლენა, დაახლოებით 10 მილიონი ლარის ოდენობით დამატებით საგადასახადო ხარჯს გამოიწვევს 2024 წელს.

(b) შემდგომი მოვლენები

2024 წლის თებერვალში, შპს „წინანდლის მამულებში“ ჯგუფის წილის გირავნობა, პარტნიორთა შეთანხმების მიხედვით, იქნა გაუქმებული.

2024 წელს, შპს „სილქ რიალ ისთეითმა“ საქართველოს საფონდო ბირჟაზე გამოუშვა 7 მილიონი ევროს ოდენობით ობლიგაციები, კუპონის წლიური 7%-იანი განაკვეთით (ბრუტო) და დაფარვის ვადით ერთი წელი.

შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი“
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა
2023 წელი

1. ჯგუფის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

ჯგუფის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ძირითადად ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათ მიმართ გამოიყენება განსხვავებული ინტერპრეტაციები და ისინი განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და იურიდიულ პირად დარეგისტრირდა 2019 წლის 4 ივნისი. კომპანიის შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოების კომპანიებს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: მთაწმინდის რაიონი, რესპუბლიკის მოედანი, თბილისი, საქართველო და კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 404579354.

შპს სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ-ის ძირითადი საქმიანობაა ჯგუფის საწარმოებისთვის ჰოლდინგურ საწარმოდ მოქმედება. ჯგუფის საწარმოების ძირითადი საქმიანობაა:

- საქართველოში კორპორატიული და ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ფიქსირებულ და მობილურ სატელეფონო მომსახურებებს, მობილურ ინტერნეტს, ფიქსირებულ ინტერნეტს, მაუწყებლობის ტრანზიტს (Pay TV), SMS მომსახურებას (მოკლე ტექსტური შეტყობინება) და სხვა საბითუმო მომსახურებას.
- თბილისსა და ბათუმში (საქართველო) მდებარე, რედისონ ბლუ ბრენდის სასტუმროების და წინანდალში (საქართველო) მდებარე, რედისონ ქოლექშენ ბრენდის სასტუმროს ფლობა და მართვა.
- თბილისსა და ბათუმში კაზინოების მართვა. კაზინოები თბილისსა და ბათუმში რედისონ ბლუ ბრენდის სასტუმროებში მდებარეობს.
- კომპლექს „რესპუბლიკის“- ის ფლობა და მართვა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მდებარე უძრავი ქონების განვითარება და მართვა.

2023 წელს ჯგუფის შემოსავლებმა შეადგინა 787 მილიონი ლარი, რაც 2022 წლის შემოსავლებთან შედარებით 9 პროცენტით (64 მილიონი ლარი) ზრდას წარმოადგენს. საერთო შემოსავლებიდან დაახლოებით 68% მოდის სატელეკომუნიკაციო შემოსავლებზე, 19% მოდის სათამაშო ბიზნესის შემოსავლებზე, 11% სასტუმროს შემოსავლებზე, ხოლო 2% სხვა შემოსავლებია. 2023 წლის ფინანსურმა მოგებამ შეადგინა 157 მილიონი ლარი, ხოლო 2022 წელს 182 მილიონი ლარი.

2018 წლის 20 მარტს ჯგუფმა შეიძინა საქართველოს სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის (შპს „ჯეოსელი“) 100 %-იანი წილი 151.7 მილიონ აშშ დოლარად. ჯეოსელის სააბონენტო ბაზა მოიცავს 1.7 მილიონზე მეტ ხმოვანი მობილური მომსახურების და 1 მილიონზე მეტ მობილური ინტერნეტის აბონენტს. ჯეოსელის შემოსავლის ძირითადი წყაროებია: ხმოვანი მობილური მომსახურება, მობილური ინტერნეტი, ურთიერთჩართვა, მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SMS), მობილური მოწყობილობების გაყიდვა და სხვა. შერწყმის შემდეგ, ჯეოსელი განაგრძობს საქმიანობას სილქნეტის ბრენდის ქვეშ.

ჯეოსელის შემენის შემდგომ ჯგუფი წარმართავს მის საქმიანობას ორ საოპერაციო სეგმენტად,

ფიქსირებული კავშირგაბმულობა და მობილური კომუნიკაციები.

ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნების მიზნით ჯგუფმა 2017 წელს დაიწყო ინფორმაციული სისტემების (IT) ტრანსფორმაციის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესებული და სტანდარტიზებული პროცესების დანერგვას. პროექტი მოიცავს ბიზნესის მხარდაჭერი სერვისების („BSS“) მოდულებისა და ბიზნეს-პროცესების დიზაინის განახლებას. პროექტი დაიწყო 2018 წლის ივლისში. 2019 წლის დასაწყისში დასრულდა მობილურის ბილინგის სისტემის დანერგვა. ჯგუფი აგრძელებს IT ტრანსფორმაციის პროექტს, რომელიც საშუალებას მისცემს მაღალი ხარისხით მოემსახუროს აბონენტებს და ამასთანავე გაამარტივოს შიდა პროცესები.

2. ჯგუფის სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმებს ძირითადად წარმოადგენს შვილობილი საწარმოების საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობის ხელშეწყობა. 2024 წელს შვილობილი საწარმოების მთავარი ფოკუსი იქნება შემოსავლების დივერსიფიცირება საცხოვრებელი და დასასვენებელი სახლების სექტორში შესვლით.

ასევე კომპანიის შვილობილი საწარმოების მნიშვნელოვან გეგმას წარმოადგენს არსებული სასტუმროების, კაზინოების და რესტორნების საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზირება და მოგების მაჩვენებლის გაუმჯობესება.

3. ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2023 წელს ჯგუფს კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია.

4. ინფორმაცია ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფს ფილიალები არ აქვს.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები

ძირითადი ფინანსური ინდიკატორების ანალიზი:

	ლარი 000'	2023	2022
1	შემოსავალი	786,963	722,857
2	შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე, გადასახადამდე, ცვეთამდე და ამორტიზაციამდე.	375,469	366,311
3	საოპერაციო მოგება %	29%	30%

(i) **ურთიერთობა თანამშრომლებთან.** ჯგუფში დასაქმებულია 3,800-3,900 ადამიანი. ჯგუფს გააჩნია მოწესრიგებული დაქირავების პოლიტიკა და სამსახურში მიიღებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები. ჯგუფის პრიორიტეტია დაიცვას ყველა დასაქმებულის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო გარემოში. ჯგუფის აქვს დოკუმენტი შემუშავებული ამ თემაზე, რომლითაც ხელმძღვანელობს და იყენებს თანამშრომლების უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად. ჯგუფი ხელმძღვანელობს ეთიკის კოდექსით, სადაც ცხადი და ცალსახა ინსტრუქციებია ნებისმიერ გადახვევასა თუ დარღვევაზე.

(ii) **ურთიერთობა მომწოდებლებთან და კლიენტებთან.** ჯგუფს მტკიცე პროფესიული ურთიერთობა აკავშირებს კლიენტებთან და ხასიათდება კლიენტებზე მზრუნველი, ერთგული და მაღალი ხარისხის მომსახურებით

(iii) **ურთიერთობა საგადასახადო ორგანოებთან.** ჯგუფის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად იმართება. ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტში დასაქმებულები არიან საგადასახადო კანონმდებლობაში გამოცდილი თანამშრომლები, რომლებიც, ჯგუფზე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობაში გათვინციობიერების მიზნით, რეგულარულად ესწრებიან საქართველოში მოქმედი წამყვანი აუდიტორული კომპანიების მიერ ჩატარებულ საგადასახადო ტრენინგებს.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვის შესახებ

2023 წელს ჯგუფს საკუთარი აქციების შესყიდვა არ განუხორციელებია.

7. ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

საკრედიტო რისკი. ჯგუფის გაყიდვების უმეტესობა ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით, კლიენტისათვის მომსახურების მიწოდებამდე. შესაბამისად, მოთხოვნების ამოღების არსებითი პრობლემა ჯგუფს არ უდგას. საკრედიტო რისკის მართვა გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი წარმოიშვება საბრუნავი კაპიტალის მართვისა და ბანკებისგან მიღებული სესხებიდან. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფს გაუმწელებელ ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდობის მართვის მიმართ გულისხმობს იმის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდობა ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად როგორც ჩვეულებრივ, აგრეთვე სტრესულ პირობებში და არ დასჭირდება მიუღებელი ზარალის გაწევა ან ჯგუფის რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენება. უფრო დეტალური განმარტებებისთვის გთხოვთ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ლიკვიდურობის რისკის განმარტება.

ბიზნესის ხასიათიდან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღება შეუფერხებლად მიმდინარეობს.

8. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, საწარმოს მიზნები და ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა

მოთხოვნა ჯგუფის მომსახურებაზე, ისევე როგორც ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათ გადახდისუნარიანობაზე.

ჯგუფის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული (ძირითადად აშშ დოლარზე). ამასთანავე, ჯგუფი შემოსავლების ძირითად ნაწილს ლარში იღებს. ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო მუდმივად ვითარდება და მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის სატელეკომუნიკაციო მიმართულებას რეგულარულად უწევს კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების გაწევა. ჯგუფის შემოსავლები შესაძლოა შემცირდეს, თუ ის ვერ შეძლებს შესაბამისი ხარჯების გაწევას და აბონენტებისათვის სასურველი მომსახურების შეთავაზებას.

პოლიტიკურმა და საკანონმდებლო ცვლილებებმა, მათ შორის, ცვლილებებმა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფზე.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეცვლის რისკი.

ჯგუფს მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, მენეჯმენტს დაწესებული აქვს ლიმიტები პოტენციურ ზარალზე ვალუტებისა და მთლიანი ოდენობის მიხედვით. პოზიციები გადაიხედება ყოველთვიურად.

პოლიტიკური რისკები. არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.

საბაზრო რისკი. ჯგუფზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ინვესტიციებში ღია პოზიციებით, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და სპეციფიური მერყეობა. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს ამ ლიმიტებს მიღმა ბაზრის ძლიერი მერყეობისას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშვება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

მამუკა შურღაია
დირექტორი

2024 წლის 12 სექტემბერი

ჯგუფის კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული (ძირითადად აშშ დოლარზე). ამასთანავე, ჯგუფი შემოსავლების ძირითად ნაწილს ლარში იღებს. ლარის გაცვლითი კურსის უარყოფითმა ცვლილებამ უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ელექტრონული კომუნიკაციების სფერო მუდმივად ვითარდება და მომხმარებლის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის სატელეკომუნიკაციო მიმართულებას რეგულარულად უწევს კაპიტალური და საოპერაციო ხარჯების გაწევა. ჯგუფის შემოსავლები შესაძლოა შემცირდეს, თუ ის ვერ შეძლებს შესაბამისი ხარჯების გაწევას და აბონენტებისათვის სასურველი მომსახურების შეთავაზებას.

პოლიტიკურმა და საკანონმდებლო ცვლილებებმა, მათ შორის, ცვლილებებმა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფზე.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები დაკავშირებულია შემდეგთან:

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების შეცვლის რისკი.

ჯგუფს მოქმედი გაცვლითი კურსების მერყეობის რისკი ეკისრება ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, მენეჯმენტს დაწესებული აქვს ლიმიტები პოტენციურ ზარალზე ვალუტებისა და მთლიანი ოდენობის მიხედვით. პოზიციები გადაიხედება ყოველთვიურად.

პოლიტიკური რისკები. არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტების მოთხოვნაზე, შემოსავალსა და მომგებიანობაზე. მენეჯმენტი ყურადღებით ადევნებს თვალს პოლიტიკური გარემოს განვითარებას, მოვლენათა პოტენციური განვითარების პროგნოზისა და პოტენციურ საფრთხეებზე რეაგირების მიზნით.

საბაზრო რისკი. ჯგუფზე მოქმედებს საბაზრო რისკები, რომლებიც გამოწვეულია (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ინვესტიციებში ღია პოზიციებით, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და სპეციფიური მერყეობა. მენეჯმენტს დაწესებული აქვს რისკის მისაღები ოდენობის ზღვარი, რომლის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება, ბოლომდე არ აღმოფხვრის ზარალს ამ ლიმიტებს მიღმა ბაზრის ძლიერი მერყეობისას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშვება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მოქმედი დონეების მერყეობის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე ზემოქმედების გამო.

მამუკა შურდაია
დირექტორი

2024 წლის 12 სექტემბერი